ხალგაზრდა ვეფხველი

24 იანვარი ხუთშაბათი 1991 № 9 (11642)

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტევა დემოკრატიაზე ბალტიისპირეთი

ლიტვა

„მოსკოვამდეც ჩამოალწევენ“...

დაიწყეს ბალტიისპირეთით, მაგრამ მოსკოვსა და ლენინგრადამდეც ჩამოაღწევენ, — ასე შეაფასა ბალტიისპირეთის მოვლენები სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ფიოდოროვმა 13 იანვარს, მოსკოვში ლიტვის მუდმივ წარმომადგენლობაში. ეს არის სამხედრო შეტევა ძლივს ჩასახულ დემოკრატიაზე, ეს არის აგრეთვე, ხალხის, ჩვენი და თქვენი გამოცდაც, რომელმაც უნდა გვაჩვენოს, მზად ვართ დემოკრატიისთვის, თუ ისევ კბილებამდე შეიარაღებული ზედამხედველები გვჭირდება.

„პასუხს ახალი ნიურბერგის პროცესი გასცემს“

— მე ტელეფონით ველაპარაკე პრეზიდენტ გორბაჩოვს და გამოვთქვი ჩემი პროტესტი უიარაღო ხალხზე თავდასხმის გამო. ვინ აგებს მომხდარზე პასუხს? ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხს ახალი ნიურბერგის პროცესი გასცემს. დღეისათვის კი ერთი უკვე ცხადია — ჩვენი ადამიანები სამშობლოსათვის დაიხოცნენ. — გახაცხადა 15 იანვარს თავის გამოსვლაში ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვიტაუტას ლანდსბერგისმა და აქვე დასძინა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გორბაჩოვის გამოსვლაში ერთი კონსტრუქციული მომენტიც დავინახეთ — მიწვევა დიალოგზე. მართალია უმეტესობა გმობს მკვლელებთან მოლაპარაკებას, ჩვენ მაინც დიალოგის მომხრენი ვართო.

ლატვია

ალქსნისი „ომონ“-ის მხარეზეა

როგორც უკვე ცნობილია, 20-21 იანვრის ღამეს რიგაში მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმმა (OMOH) შტურმით აიღო ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. შედეგი საშინელია: უკანასკნელი მონაცემებით დაიღუპა 5 და დაიჭრა 10 ადამიანი. მათ შორის მოკლულია ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 მუშაკი, ჭრილობებისაგან დაიღუპა ლატვიის კინოსტუდიის ოპერატორი ი. სლაპინში, დაჭრილი არიან ი. პოდნიექსის ჯგუფის, პროგრამა „ვზგლიადისა“ და ფინეთის ტელევიზიის ოპერატორები.

როგორც რადიოსადგური „სოდრუჟესტვო“ იტყობინება, მომხდარის მიზეზი იყო შემდეგი: 20 იანვარს უცნობმა პირებმა რიგის ცენტრში მოიტაცეს „ომონ“-ის თანამშრომლის ცოლი და გააუპატიურეს, შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცეცხლი გაუხსნეს „ომონ“-ის რაზმს, რომელიც ლატვიის პროკურატურისაკენ მოეშართებოდა. საღამოს ქალაქის ცენტრი, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მდებარეობს, ავტომატის ჯერმა გააყრუა. დაახლოებით ერთ საათში „ომონ“-ის რაზმმა შენობა დაიკავა.

ლატვიის ტელევიზიამ ზემოთ ნაამბობ ისტორიას პროვოკაციული უწოდა. შედეგად აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. ერთი „ომონ“-ის წინააღმდეგ მეორე — მის დასაცავად. ცხადია, „ომონ“-ის დამცველთა შორის იქნება „სახელგანთქმული“ პოლკოვნიკი ალქსნისიც, რომელმაც ჯერ კიდევ 18 იანვარს, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის შტაბში განაცხადა, რომ თუ რამე მოხდა, არმია „ომონ“-ის მხარეზე იქნებაო.

ესტონეთი

„საკუთარ თავს თავად დავიცავთ“

რიგის ამბების შემდეგ უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ლიტვისა და ლატვიის მოვლენები ესტონეთშიც გამეორდება. ესტონეთის მოსახლეობა აქტიურად აგებს ბარიკადებს. ჩვენ, — აცხადებენ ისინი, — თავად დავიცავთ საკუთარ თავს. სხვა მხრივ, ჯერჯერობით, ტალინში სამშვიდეა, თუმცა 20-21 იანვრის ღამეს აქაც გაისმა აფეთქების ხმა, რომელსაც, საბედნიეროდ, ადამიანების მსხვერპლი არ მოჰყოლია.

აქ დასავლეთი ველარ დაგვეხმარება

დასავლეთს სურდა, სურსათითა და ტექნოლოგიით დაგვხმარებოდა, მაგრამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ შესწევს ძალა ეშელონებით შემოიტანოს და ჩვენს მოსახლეობაზე გაანაწილოს სინდისი, ღირსება, სიყვარული, სხვისი პირის გათავისების უნარი— ყველა ის თვისება, რომელიც ჩვენ ადამიანებად, ხალხად, კაცობრიობად გვაქცევს. — ვკითხულობთ 22 იანვრის „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ ბალტიისპირეთის მოვლენებთან დაკავშირებულ გამოძახილში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საყურადღებოდ

საქართველოს რესპუ-
ბლიკის პირველი მოწ-
ვევის უზენაესი საბჭოს
პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა 1991 წლის 24 იანვრის ნაცვლად გაიმართება 1991 წლის 29 იანვარს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 29 იანვარს 8 საათსა და 30 წუთიდან.

როცა ერთი მანეთი 100 მანეთის ჭრის

კარტის თამაშის ახალი საბჭოური ვარიანტი



გამოვიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც გაუქმდა 1961 წლის ნიმუშის 50 და 100 მანეთის ღირებულების სსრკ სახელმწიფო ფულის ნიშანი.

ზურაბ ძაგთარაძის ფოტო.

პატივცემული მკითხველო, პირველ ხელზე კარტის ახალი საბჭოური თამაშის არცთუ რთული პოზიციაა ახახული, როცა კოზირად წარმოდგენილი მანეთიანი თავისუფლად ჭრის უკვე ქაღალდად ქცეულ 100-მანეთიანებს. ეს ალბათ ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი პარადოქსია, რომლის ავტორებიც და მამამთავრებიც არიან ხსრკ პრეზიდენტი და მისი ახალი ფავორიტი, ხსრკ მთავრობის მეთაური. როგორც იტყვიან, ახალმა მთავრობამ მართლაც „ენერგიულად“ დაიწყო და მისი შედეგი კარგად ჩანს მეორე ხელზე. ალბათ, ძნელი არაა მიხვედრა, რომ უამედოდ გრძელ რიგში ჩამდგარი ადამიანები არ არიან ჩრდილოვანი მილიონერები და საკუთარი მონაგარის დაკარგვის საშიშროებით შეშფოთებულნი, არცთუ სახიამოვნო ხიტყვებს უთვლიან ახალი „მარიაჟის“ ავტორებს.

რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სათანადო საფინანსო ორგანოები ცხოვრებაში მაქსიმალური დემოკრატიულობით გაატარებენ ხალხის თვის არცთუ მთლად მისაღებ ბრძანებულებას და რედაქციაც მოახერხებს ხელზე აღბეჭდილი ახმანეთიანების ვადახურდავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების განვითარების პრაქტიკა ნათლად მოწმობს იმას, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები ფართო შესაძლებლობებს ქმნის ეკონომიკის აღმავლისათვის. თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები და ფართო მასშტაბები სათანადო კადრების გარეშე შეუძლებელია, სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ მაშინ, როდესაც ვასაბუთებთ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინების კონცეფციას. სამწუხაროდ, დღეისათვის ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ეკონომიკური კადრების მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. თუ დღევსვე მომზადდება ასეთი პროგრამა, საჭირო კადრებს მივიღებთ მხოლოდ 5-6 წლის შემდეგ, ხოლო დაგვიანება რა ზიანსაც მოგვიტანს, ალბათ ადვილი წარმოსადგენია.

უკანასკნელ პერიოდში ქართულ პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებიც ძირითადად ეძღვნება მათი ავტორების ურთიერთკრიტიკას და საკუთარი პოზიციების დაცვას (ჩვენ მათ შეგნებულად არ ვასახელებთ, რათა უნებლიედ არ აღმოვჩნდეთ იგივე მდგომარეობაში). ამ პუბლიკაციებს მეტად ზოგადი ხასიათი აქვს და მათში კონკრეტულად თითქმის არაფერია იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეკონომისტთა პრინციპულად ახალი კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო პრესტიჟი. ჩვენი ეკონომიკა და მისი სოციალური ინფრასტრუქტურა კი უკვე 1991 წელს საჭიროებს ასეთი კადრების არსებობას.

საქართველოში ეკონომისტთა კადრების მომზადება (როგორც უმაღლესი, ისე საშუალო სპეციალური განათლებით), დღემდე ხორციელდება სტიქიურად და არ პასუხობს არც გეგმიანი ეკონომიკის, არც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. მათს მომზადებაში ზეიმჩნევა თვითნებობა და განუკითხაობაც კი, რასაც თან სდევს ეკონომიკის (და საერთოდ საზოგადოების) პრაქტიკული მოთხოვნილებების უგულებელყოფა.

ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი განათლებით ეკონომისტთა კადრების აბსოლუტური უმეტესობა მზადდება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში და გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში. ამასთანავე, ადგილი აქვს პარალელიზმს რიგი სპეციალობების მიხედვით (მაგალითად, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა და სხვ.) ჩვენი აზრით, შეიძლება არსებობდეს პარალელიზმი კადრების მომზადებაში, რაც სრულიად დასაშვებია საბაზრო ურთიერთობების პირობებში, მაგრამ ამავე დროს უნდა იყოს სხვაობა მათს თვისობრივ დონეს, სამუშაოზე მოწყობის უფლებასა და შრომის ანაზღაურებაში (როგორც ეს არის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ერთი და იგივე სპეციალობების კადრები მზადდება სხვადასხვა სასწავლებელში, მაგრამ სამუშაოზე მიღებისას უპირატესობა აქვს ცნობილი პრესტიჟული უნივერსიტეტების დიპლომიანს, როგორც თანამდებობის, ისე ანაზღაურების მხრივ). ასეთი მიდგომა პირდაპირ უპასუხებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

ამჟამად გადაუდებელი ამოცანაა ეკონომისტთა კადრების მომზადების სტრუქტურის სრულყოფა და მისი შესაბამისობაში მოყვანა საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი. აქ შეიძლება გამოვყოთ ორი გზა: ახალი სპეციალობების გახსნა და არსებული სპეციალობების თვისობრივი ცვლილება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების აუცილებელი შეცვლით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი არასასურველი ტენდენციის შესახებ: ამჟამად მოდად იქცა ტექნიკუმების გადაკეთება უმაღლეს კომერციულ და ბიზნესის სკოლებად. ჩვენი აზრით, ტექნიკუმის სახელის შეცვლით პრინციპულად ახალი კადრების მომზადება არ მოხდება იგივე პედაგოგიური პერსონალით, სასწავლო პროგრამებით (თუნდაც მათი დასახელების მექანიკური ცვლილებებით), იგივე მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზით. საჭიროა ამ საკითხის განხორციელების კოორდინაცია და სისტემატიზაცია, თუნდაც დროებითი სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით.

ეკონომიკური პროფილის თანამედროვე სპეციალისტის მოსამზადებელ სასწავლო გეგმებში აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი დისციპლინების ჩართვა: ეკონომეტრია, ეკონომიკური სამართალი, პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიების ისტორია, ფასწარმოქმნა და ინფლაციური პროცესები, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, საბუღალტრო აღრიცხვისა და გადასახადების ალგებგრის თეორია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის თეორია, მარკეტინგი, მენეჯმენტი, სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება, კომპიუტერული სასწავლო პრაქტიკა. ამასთანავე, სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს საავალდებულო ლ დისციპლინათა ციკლს და შერჩევით (ნებაყოფლობით) დისციპლინათა ციკლს, რომლებიც დიფერენცირებული იქნება ცალკეული ეკონომიკური სპეციალობების მიხედვით. რა თქმა უნდა, პარალელურად უნდა შეიცვალოს ამჟამად მოქმედი სასწავლო გეგმები, რომლებიც ძირითადად დამტკიცებული და დაგზავნილია საკავშირო ორგანოებიდან. ეს ცვლილება უნდა იყოს როგორც რადენობრივი, ისე თვისობრივი.

ჩვენი აზრით, მომავალი სასწავლო წლიდან აუცილებელია დაიწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლებით **ბაკალავრებისა** და **მაგისტრების** მომზადება სხვადასხვა ეკონომიკური პროფილით და გაუქმდეს ამჟამად არსებული პრაქტიკა, როდესაც ყველა კურსდამთავრებულს ერთნაირად ეწერება დიპლომში „ეკონომისტის“ კვალიფიკაცია (სხვადასხვა სპეციალობით). ამასთანავე, საჭიროა მათი მომზადების დიფერენციაცია ცალკე ფირმებისათვის (საწარმოებისათვის) და ცალკე სახელმწიფო ორგანოებისათვის (სამინისტროებსა და უწყებებისათვის). ბაკალავრის მოსამზადებლად საკმარისია ოთხი წელი, ხოლო შემდეგ გაგრძელდება მათი ნაწილის სწავლება 5-6 წლამდე მაგისტრის წოდების მისაღებად. მაშასადამე, მაგისტრი უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ვიდრე ბაკალავრი. გარდა ამისა, მაგისტრს უფლება აქვს იმუშაოს მეცნიერების ან სხვა სფეროში მეცნიერ მუშაკად. ერთი და იგივე სამუშაოზე (თანამდებობაზე) მოწყობისას, რა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება მაგისტრს. გარდა ამისა, ეკონომიკური სამართალი, ეკონომეტრია, ეკონომიკურ-ეკონომიკური თეორიების ისტორია, ფასწარმოქმნა და ინფლაციური პროცესები, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, საბუღალტრო აღრიცხვისა და გადასახადების ალგებგრის თეორია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის თეორია, მარკეტინგი, მენეჯმენტი, სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება, კომპიუტერული სასწავლო პრაქტიკა. ამასთანავე, სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს საავალდებულო დისციპლინათა ციკლს და შერჩევით (ნებაყოფლობით) დისციპლინათა ციკლს, რომლებიც დიფერენცირებული იქნება ცალკეული ეკონომიკური სპეციალობების მიხედვით. რა თქმა უნდა, პარალელურად უნდა შეიცვალოს ამჟამად მოქმედი სასწავლო გეგმები, რომლებიც ძირითადად დამტკიცებული და დაგზავნილია საკავშირო ორგანოებიდან. ეს ცვლილება უნდა იყოს როგორც რადენობრივი, ისე თვისობრივი.

ჩვენი აზრით, მომავალი სასწავლო წლიდან აუცილებელია დაიწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლებით **ბაკალავრებისა** და **მაგისტრების** მომზადება სხვადასხვა ეკონომიკური პროფილით და გაუქმდეს ამჟამად არსებული პრაქტიკა, როდესაც ყველა კურსდამთავრებულს ერთნაირად ეწერება დიპლომში „ეკონომისტის“ კვალიფიკაცია (სხვადასხვა სპეციალობით). ამასთანავე, საჭიროა მათი მომზადების დიფერენციაცია ცალკე ფირმებისათვის (საწარმოებისათვის) და ცალკე სახელმწიფო ორგანოებისათვის (სამინისტროებსა და უწყებებისათვის). ბაკალავრის მოსამზადებლად საკმარისია ოთხი წელი, ხოლო შემდეგ გაგრძელდება მათი ნაწილის სწავლება 5-6 წლამდე მაგისტრის წოდების მისაღებად. მაშასადამე, მაგისტრი უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ვიდრე ბაკალავრი. გარდა ამისა, მაგისტრს უფლება აქვს იმუშაოს მეცნიერების ან სხვა სფეროში მეცნიერ მუშაკად. ერთი და იგივე სამუშაოზე (თანამდებობაზე) მოწყობისას, რა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება მაგისტრს. გარდა ამისა, ეკონომიკური სამართალი, ეკონომეტრია, ეკონომიკურ-ეკონომიკური თეორიების ისტორია, ფასწარმოქმნა და ინფლაციური პროცესები, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, საბუღალტრო აღრიცხვისა და გადასახადების ალგებგრის თეორია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის თეორია, მარკეტინგი, მენეჯმენტი, სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება, კომპიუტერული სასწავლო პრაქტიკა. ამასთანავე, სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს საავალდებულო

პრობლემა

საბაზრო ეკონომიკას-

სათანადო ეკონომიკური კადრები

ნსხვავებულია აგრეთვე შრომის ანაზღაურებაც: უფრო მაღალი უნდა ჰქონდეს მაგისტრს.

სპეციალისტთა მომზადებისა და მათი შემდგომი დასაქმების ასეთი ცივილიზებული წესი მნიშვნელოვანწილად სპობს ამჟამად არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ უსამართლობას ამ მიმართულებით, როდესაც ერთნაირ თანამდებობაზე თანაბარი ხელფასით ინიშნებიან წარჩინებით კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები და ისინიც, ვინც რის ვაივაგლახით მიიღო დიპლომი.

როგორც ბაკალავრების, ისე მაგისტრების მომზადება უნდა განხორციელდეს ძირითადად ორი გზით: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და ცალკეული ფირმების (საწარმოების, კოოპერატივების, ორგანიზაციების და ა. შ.) ხარჯზე. შესაბამისად დიფერენცირებული იქნება მათი მომზადების სასწავლო პროგრამები. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალისტთა მომზადება ხორციელდება ცალკეული ფირმების შეკვეთების მიხედვით, შემკვეთ ორგანიზაციას უფლება უნდა მიეცეს ნაწილობრივ შეცვალოს სასწავლო გეგმა (მოითხოვს მისთვის აუცილებელი და სპეციფიკური ორი-სამი დისციპლინის ჩართვა).

ჩვენი აზრით, პრინციპულად ახალი ეკონომიკური კადრების მომზადება შეიძლება რესპუბლიკის ფარგლებში საზღვარგარეთ გაგზავნისა და ვალუტის გარეშე. ამის თქმის უფლებას გვაძლევს არსებული სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების პოტენციალი: საქართველოში ამჟამად 60-მდე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და 800-მდე ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ძალუძს თავი გაართვას ამ პრობლემის გადაწყვეტას საზღვარგარეთ ხანმოკლე სტაჟირების შემდეგ. მომავალში კი, როდესაც რესპუბლიკას ექნება საჭირო სავალუტო ფონდები, აუცილებელი იქნება კადრების მომზადება საზღვარგარეთის მოწინავე ცენტრებში.

რა თქმა უნდა, ჩვენს სტატიას არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ამომწურავი და სრული პასუხი გასცეს მასში დასმულ პრობლემებს. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველთა გარკვეული წრისათვის, სათანადო ორგანოების, ცალკეული უმაღლესი სასწავლებლებისა და კათედრებისათვის იგი არ იქნება უსარგებლო.

სიმონ გელაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ცხინვალსა და ჯავის რაიონში

22-23 იანვრის მდგომარეობის შესახებ

როგორც ვიუწყებოდით, ოსმა ექსტრემისტებმა, რომლებმაც დაარღვიეს წინა დღეს დათქმული პირობა სროლის შეწყვეტისა და ცხინვალის ქუჩებში ბარიკადების აღების შესახებ, 22 იანვარს 15 საათსა და 30 წუთიდან ქალაქის ყველა კუთხიდან ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის მუშაკებს. 16 საათზე ექსტრემისტების მიერ გასროლილი ტყვიით დაიჭრა თბილისის კრწანისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკი, მილიციის სერჟანტი იური ფეიქრიშვილი.

19 საათისათვის ექსტრემისტებმა ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან დაიწყეს ნაღმსატყორცნებითა და ყუმბარასატყორცნებით სროლა. ნაღმი აფეთქდა ცხინვალის შესასვლელში განლაგებული სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს შენობის გვერდით, ძლიერი აფეთქება მოხდა პუშკინის ქუჩაზე. დაახლოებით 21 საათზე გასროლილმა ჭურვმა შეანგრია უნივერმაღის კედელი.

ღამის საათებში რკინიგზის ვაგზლის მხრიდან ისროდნენ რაკეტებს, ხოლო პედაგოგიურ ინსტიტუტთან მოწყობილი პიკეტიდან მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ ყუმბარსატყორცნიდან.

ექსტრემისტების ზემოქმედებაზე მილიციის მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად დაიღუპა სამი ექსტრემისტი, დაიჭრა რამდენიმე.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მსხვერპლი არ არის.

22 იანვარს საღამოს მილიციის მუშაკებმა ცხინვალის რაიონში დააკავეს უმუშევარი იური ბეკოევი, რომელსაც აღმოაჩნდა რამდენიმე ცალი ტყვიამფრქვევის ვაზნა.

23 იანვარს მთელი ღამის განმავლობაში ბარიკადებიდან და ცალკეული შენობებიდან ექსტრემისტები ცეცხლს უშენდნენ მილიციის საგუშაგოებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრი, საქინფორმი.

ფირმა „ლგვ“ სთავაზობს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს სამშენებლო ბლოკების დასამზადებელ დანადგარების კომპლექტს, რომელიც შედგება:

1. ბლოკების დასამზადებელი დანადგარი — 1 ცალი
2. ბეტონის შემრევი 0,25 მ³ — 1 ცალი
3. ურიკა ბეტონის მასის გადასაადგილებლად — 2 ცალი
4. ბუნკერი თითო 1,5 მ³ ნედლეულის კომპონენტებისათვის — 6 ცალი.

მცირე სამშენებლო ბლოკების დასამზადებელი ქარხნის წარმადობაა საათში 150 ცალი ბლოკი. ფასი სახელშეკრულებოა.

ცნობებისთვის დარეკეთ, ტელ.: 37-42-10.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი — 380060, კანდელაკის ქ. № 27.

ვისაც სიმაღლეში გაზრდა სურს

თბილისში ფუნქციონირებს სიმაღლეში მომატების რესპუბლიკური ცენტრი ვიტამინოთერაპიის სპეციალური მასალების, საგანგებო დიეტის, ვიბრაციული მაგიდის სპეცდასაჭიმი მოწყობილობის წყალქვეშა გაჭიმვისა და საუნის გამოყენებით. მოზარდებსა და ბავშვებს 3-6 სანტიმეტრამდე სიმაღლეში მომატება გარანტირებული ექნებათ ორგანიზმისათვის სრულიად უვნებელი მეთოდით, რომელიც შექმნა ცნობილმა მოსკოველმა ნოვატორმა ექიმმა ანატოლი პალკომ.

მიღება ექიმთან წინასწარი ჩაწერითაა ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს 17-დან 20 საათამდე.

მისამართი: ა. წერეთლის გამზირი № 117, სპორტული კომპლექსი „უშბა“.

ვეცდეთ ჩვენი ისტორია

წერილი მესამე

შიდა ქართლის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გადიოდა სამომსვლო მაგისტრალები, რომელთა მნიშვნელობა ხშირად სცილდებოდა კავკასიის ფარგლებს. ჩრდილოეთიდან მოემართებოდა დარიალის ანუ არაგვის გზა, რომელიც ჩაუვლიდა მცხეთას.

არაგვის ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ჩრდილო კავკასია — სამხრეთ რუსეთის ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი გზა. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებს შორის უკვე ენეოლითი-ადრებრინჯაოს ხანიდან არსებობს მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა. ამ ურთიერთობის ერთ-ერთ არხს თერგი-არაგვის ხეობა წარმოადგენდა.

სკვითურ ხანაში, სკვითური ტომების შემოღწევა ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში კოლხიდა-მეოტიის, მამისონის და დერბენდის გზებთან ერთად დარიალ-არაგვითაც ხორციელდებოდა.

სტრაბონი ამ გზის შესახებ აღნიშნავდა: „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგვის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის (სავალი), ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“.

როცა რომაელები პირველად მოვიდნენ საქართველოში, მათ უკვე დარიალი იბერიის სამეფოს ხელში დახვდათ. ქართველებს ეს ხეობა მიუდგომელი კედლით ჰქონდათ გამაგრებული. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ სიმაგრეს, ამაზე პლინიუსი (I ს.) მოგვითხრობს: „კავკასიის კარები უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი, თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით. მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“.

ვახუშტის აზრით, „დარიელას შეაბა კარი და ქნა სიმაგრე ხაზართთა და ოვსთათვის, რათა უომისოდ, ვეღარა ვიდოდნენ (3) მეფემან მირვან“ (ე. ი. ძვ.წ. II ს-ში). ჯუანშერით კი, ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდით და აღაშენნა მას ზედა ბოდოლნი მაღალნი და გაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთიულნი, არა ხელწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა, ოვსთა და ყივჩაღთა, თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“ (ქცა, I, 156).

ამიერკავკასიაში არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ დარიალის კარებს ურთიერთს ეცილებიან არაბები და ხაზარები. დარიალს იპყრობს როგორც მურვან ყრუ, ასევე ხაზართა ხაკანის სპასალარი ბულჩან.

781 წელს ქართლიდან ლტოლვილმა ნერსე ერისთავმა „განვლო კარი იგი ოვსეთისა, რომელსა დარიალ ერქუმის“.

დარიალანი სპარსულად ნიშნავს ალანთა კარს. ხეობის ვიწროებისათვის ამ სახელის წოდება ნიშნავდა იმას, რომ სწორედ მის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ხლანები ანუ ოსები.

დარიალის უძველესი სახელწოდება იყო არაგვის კარი. საქმე ის გახლავთ, რომ ძველად მდინარე ლომეკს ანუ თერგს ეწოდებოდა არაგვი (დღესაც ხევში სნოს წყალს შავი არაგვი ჰქვია).

არაგვის კარის სინონიმები იყო კავკასიის კარი, სარმატიის კარი, კასპიის კარი, ივერიის ანუ საქართველოს კარი. ივერიის კარი პლინიუსის გარდა მოხსენიებულია პრისკე პანიელთან იუროპეხის ციხის სახით, IX ს. ბიზანტიელი მემატიანე თეოფანე კავკასიის მთებში ახსენებს „ივერიის კარებს“, რომელიც დარიალთანაა გაიგივებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შიდა ქართლი

სამიმოსვლო გზები





მთავარი მაგისტრალის ტრასის შესახებ.

უფრო მოგვიანებით სოფ. ძალისის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ანტიკური ქალაქი.

შიდა ქართლის მთავარი მაგისტრალი ქსოვრისთან ქსანს გადაკვეთდა და თეზი-ოკმის გავლით მიემართებოდა იგოეთისაკენ (შესაძლოა სამთავისისაკენაც უქცევდა). გვიანდელ ხანაში აქ გამავალი გზის უტყუარ ნიშნად გამოდგება ტოპონიმი „საბაჟო“, რომელსაც ლეხურის ხეობის მოსახლეობა უწოდებს იგოეთიდან ოკამის მიმართულებით ორ კილომეტრზე დაშორებულ შენობათა ნანგრევებს. ნიშანდობლივია, რომ შიდა ქართლის უძველესი საეპისკოპოსო კათედრები — წილკანი, სამთავისი, იმ გზაზე, რომელიც ქმნის ხეობის ქვემო წელიდან მუხრანისა და დუშეთის გავლით ანანურთან არაგვის ხეობას აღწევს. მისაქციელიდან წილკან-ძალისა-მუხრანზე გამავალი გზა შესაძლოა ერთ-ერთი მონაკვეთი ყოფილიყო იმ ძირითადი სახმელეთო გზისა, რომელიც მცხეთა-თბილისის რაიონიდან ქართლის დასავლეთ ნაწილში მიდიოდა (ქსნის ხეობის გავლის შემდეგ იგოეთზე და გორზე) და დასავლეთ საქართველოშიაც გადადიოდა.

ცნობილია, რომ მთავარი მაგისტრალები ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებზე გადის. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი პუნქტი თავისკენ ეწევა გზას. ამ მხრივ სამუხრანოზე გამავალი მაგისტრალი ნიშანდობლივია. წილკნიდან ცნობილია გვიანანტიკური ხანის სამარხი. ასევე ქსოვრისში უპოვიათ ოქროს გავარსიანი ნივთების შემცველი სამარხი. რაც შეეხება სოფ. ძალისს, აქ ჩვენ 1964 წელს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მივაკვლიეთ „გორას“ ძლიერი ანტიკური ფენით (ქვევრის, კრამიტის, ბათქაშების ნატეხები). ყოველივე ეს მკვიდრ ნივთიერ საფუძველზე აყენებს წერილობითი წყაროებისა და ტოპონიმთა გათვალისწინებით მიღებულ დასკვნას შიდა ქართლის ურბნისი და რუისი უძველესი სატრანზიტო გზის მახლობლად წარმოიშვა.

ანტიკური ავტორების (არისტობულე, ერასტოფენი, სტრაბონი, პლინიუსი, ვარონი) ცნობები და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთსა და დასავლეთ ევროპას შორის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის, ე. წ. აბრეშუმის გზის ერთი მონაკვეთი გადიოდა ამიერკავკასიაზე, კერძოდ, შიდა ქართლზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ წინარეელინისტურ ხანაში ისახება სავაჭრო გზის ცალკეული მონაკვეთები, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა ვაჭრობას ეწევა კოლხეთის ბერძნულ ქალაქებთან, ხოლო მათი მეოხებით მცირე აზიისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებთან. ელინისტური ხანიდან, როდესაც ვაჭრობა იღებს მსოფლიო ხასიათს და სავაჭრო ურთიერთობის პროცესში ექცევა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის, ინდოეთის და ჩინეთის შორეული რაიონებიც, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფასიდისაკენ (ფოთი).

ანტიკურ პერიოდში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. ის მიემართებოდა ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავლით — მდ. მტკვრით — სურამის გადასასვლელით — მდ. ფასიდით (რიონ-ყვირილის მაგისტრალი) აღწევდა შავი ზღვის სანაპიროებს ქ. ფასიდთან და შემდეგ ზღვით უკავშირდებოდა მცირე აზიის და ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქალაქებს (ო. ლორთქიფანიძე).

უფლისციხის დიდ კლდეკარს უფლისციხეში საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ხანას უკავშირებენ და ძვ. წ. IV-III სს. ათარიღებენ. გზის ერთ-ერთი ტრასა ანტიკურ ხანაში კასპი-გორს შორის ასე გამოიყურება: კასპი, აშურიანის ველი, ნადარბაზევის ხევი, სოფ. ნადარბაზევი, ნადარბაზევის ტბა, სოფ. ავაზნები, ახაშენების წყარო, ყვავის საყდრის მინდორი, კოტალაკები, დიდი კლდეკარი, ადუანთ ხევი, სოფ. უფლისციხე, მცირე ქალაქი, შიდა ქალაქი, დაბა ადგილ ბამბებში, დაბა ყათნალიხევში, დაბა ლალაანთ ხევში, დაბა ღრმა ხევში, ფარჩოს ხევი, გორი.

როგორც აღვნიშნეთ, გზა მტკვრის მარჯვენა ნაპირსაც მიუყვებოდა. მის მიმართულებას კარგად არკვევს პუნქტები: დიღმის კარი, დიღმის ველი, ნაქულბაქევი, დევის ნამუხლი — „კლდე გაჭრილი გზად“, მუხათგვერდი, არმაზი თავისი საბაჟოთი, ძეგვი თავისი ქარვასლით, კავთისხევი სამეფო სასახლით, ქალაქი ახალქალაქი, დოესის მინდორი და სოფელი ხიდისთავი, რომელმაც ეს სახელი აქ მდინარე მტკვარზე ქალაქ გორს გასასვლელი ხიდისაგან მიიღო.

მტკვრის მარჯვენა ნაპირის გზით მოდის წმ. ნინო ურბნისიდან მცხეთაში.

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი იმავე გზით მოემართება გორიდან თბილისისაკენ.

მნიშვნელოვანი მაგისტრალი, რომელიც საქართველოს დიაგონალურად ჰკვეთდა და კახეთ-ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა, ე.წ. „ცხვრის გზა“ შიდა და ქვემო ქართლის მიჯნაზე, თრიალეთის ქედის თხემს გასდევდა და მრავალი განშტოებით უკავშირდებოდა მის გარდიგარდმო მდებარე „ქვეყნებს“. ეს გზა უძველესი და უმნიშვნელოვანესი იყო და გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში მას ძლიერი პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც რეალურად ზემოხსენებულ „ქვეყანათა“ შერწყმის, და საბოლოო ჯამში საქართველოს გაერთიანების ტენდენციით უნდა გამოხატულიყო (დ. მუსხელიშვილი).

დიდი ლიახვის სათავეებში კავკასიონის ქედზე რამოდენიმე გადასასვლელია, რომლებზეც უძველესი დროიდან გადმოდიოდა გზები ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში. მათგან აღსანიშნავია ქურთათის ხეობიდან ხილიაკის ხეობით სოფ. ქოლოთყაუდან სოფ. ზაყასაკენ, ხოლო აქედან სბის უღელტეხილით სბის ხეობაში გადმომავალი გზა.

ამ გზას იცნობს ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ყველაზე მოსახერხებელ გზას კავკასიონის ამ მონაკვეთზე.

ვახუშტი წერს: „მას ზეით მიერთვის ლიახვს როკის ხევი. როკას ზეით მიერთვის ლიახვსვე ბაყისხევი. და სდიან ეს ხევნი დვალთ-გორასა, და დიან სამხრეთად, ხოლო ბაყის-ხევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი, და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დვალეთს“.

ვახუშტის რუკაზე სოფელ სბას აწერია „ჟბა“, „აღწერაში“ კი აღნიშნულია „ბაყის-ხევი“. მაგრამ ეჭვი არაა, რომ „ბაყის-ხევი“ არის იგივე ჟბა-სბა, რადგან „ბაყის-ხევი“ ვახუშტის მიხედვით ლიახვზეა როკის ზევით ე. ი. აღმოსავლეთით.

ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ვახუშტის „აღწერის“ სხვა ადგილი: „აქედამ (ზახის-ხეობიდან-ჯ.ჯ) გარდავალს გზა თრუსოს, მაღრანდვალეთს და ჟბას, დიდ-ლიახვზედ“.

ჟბა ანუ ბჟა მეგრულად მზეს ნიშნავს.

ვახუშტი ბაგრატიონი იცნობს აგრეთვე ჩრდილო კავკასიიდან ლიახვზე გადმომავალ მეორე გზასაც. იგი აღნიშნავს: „კვალად ამ ზრმაგის-ხევის სათავიდამ გარდავალს ზეკარაზედ გზა ქართლის დიდ-ლიახვზე“.

ერთ-ერთი ამ გზათაგანი უნდა ყოფილიყო „გზა დვალეთისა,“ რომელსაც ლეონტი მროველი ასახელებს II ს. ამბების თხრობასთან დაკავშირებით.

შიდა ქართლი სამხრეთ საქართველოს უკავშირდებოდა მტკვრის ძამას, ტანას, თეძმის, კავთურას ხეობებით მომავალი გზებით; დასავლეთ საქართველოს ლიხის მთაზე მდებარე პერანგას, ზემოჯვარ-კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის, ციხისძირის უღელტეხილებით; ჩრდილოეთ კავკასიას კი, დარიალის გზის გარდა, ლიახვის ხეობით, სბისა და როკის უღელტეხილებით.

როგორც გზათა მიმოხილვამ გვაჩვენა, შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიას, სადაც უძველესი დროიდან იკვეთებოდა სამიმოსვლო მაგისტრალები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა როგორც ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს, ასევე მთლიანად საქართველოს გარე სამყაროსთან. თუ მაგისტრალთა მიმართულებანი გაპირობებული იყო პუნქტთა თუ ტერიტორიათა მაღალი ეკონომიკური დონით, თავის მხრივ გზებიც დიდ გავლენას ახდენდნენ „ქვეყანათა“ განვითარებაზე. ამდენად ბუნებრივია, რომ შიდა ქართლმა — სავაჭრო-სამიმოსვლო გზათა საკვანძო ტერიტორიამ უდიდესი როლი ითამაშა ანტიკურსა და ფეოდალურ ეპოქებში ერთიანი საქართველოს შემოკრებაში.

ჯონდო გვასალია.

1. ემბლემა — ფრთოსანი ლომი;
2. სქემა — არაგვის ხეობა, IV-VI სს.
3. ჯვრის უღელტეხილის ჩამკეტი ცეცხლისჯვრის (X ს.) კომპლექსი არაგვის ხეობაში.

დავით ხალირაშვილი

დავით ხალირაშვილი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელია (დაიბადა თბილისში 1887 წ. გარდაიცვალა ვაშინგტონში 1962 წ.). იმედგაცრუების გამო 1927 წელს იგი სამუდამოდ გამოეთხოვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მას შემდეგ არც ერთ პარტიაში აღარ შესულა. მანამდე კი მან ერთგულად გაიარა პროფესიონალი რევოლუციონერი ქართველი სოციალ-დემოკრატის (მენშევიკის) გზა. ჯერ კიდევ ყრმა, 1898 წელს გაეცნო ოთხებ ჯუღაშვილს (სტალინს), რომლის მთელმა მოღვაწეობამ მის თვალწინ გაიარა. ამიტომ პირველ წყაროს მნიშვნელობა აქვს დ. ხალირაშვილის მოგონებებს სტალინზე (გამოვაქვეყნეთ 1990 წელს, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ № 7-ის ფურცლებზე). საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დ. ხალირაშვილმა გრ. ურატაძესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებაში. საქართველოს გასაბჭოებისას დ. ხალირაშვილი მთავრობას არ გაჰყვა ემიგრაციაში, მაგრამ 1922 წელს, 60-ზე მეტ სხვა ქართველ პოლიტპატიმართან (ნოე ცინცაძე, კალისტრატე სალია, დავით ბუაჩიძე, ვანო ალიხანაშვილი და სხვა) ერთად მეტების ციხიდან დ. ხალირაშვილი ხაზღვარგარეთ გაასახლეს. 1945 წლამდე იგი ცხოვრობდა გერმანიაში (ბერლინში), ხოლო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გადავიდა ჯერ ავსტრიაში, შემდეგ იტალიაში, 1958 წელს კვლავ დაბრუნდა გერმანიაში (მიუნხენში), ბოლოს კი აშშ-ში გადასახლდა, სადაც გარდაიცვალა. კიდევ 1962 წელს, ვაშინგტონში.

დავით ხალირაშვილმა დაგვტოვა საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც გაგვაცნეს მისმა შვილებმა — შოთა და ეთერ ხალირაშვილებმა. აშშ-ხა და გფრ-ში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს (შოთა ცხოვრობს ვაშინგტონში, ეთერი კი მიუნხენში). ამჯერად გთავაზობთ გაზეთ „საქართველოში“ (მიუნხენი, 1951, № 5, რედაქტორი არჩილ მეტრეველი) გამოქვეყნებულ დ. ხალირაშვილის მოგონებას „სტალინი ტფილისში 1921 წელს“

გურამ შარაძე

სტალინი ტფილისში 1921 წელს



სტალინი ჩამოვიდა ტფილისში და ძოინდომა შეხვედრა აქაურ მუშებთან, რომლებიც მას 1907 წლის აქეთ აღარ ესახა. მისი ბრძანებით მოწვეულ იქნა დიდი კრება პლეხანოვის სახლში.

მასთან მოვიდნენ შესახვედრად, მათ შორის ძველი მუშები, როგორც ძმები ნინუები, დათიკო დვალი, ალექსანდრე დღებუაძე, ანდრო ჭიაბრიშვილი, — მშვენიერი ორატორი და ერთი მოწინავე მუშათაგანი და ბევრი სხვა. კრება თვით სტალინმა გახსნა და დაიწყო იმით, რომ მიესალმა ტფილისის მუშებს ოქტომბრის რევოლუციის სახელით, აღნიშნა რა მათი მოწინავე როლი რევოლუციურ მოძრაობაში მთელ კავკასიაში. ერთმა ძველმა მუშამ შენიშნა მას, რომ უკეთესი იქნებოდა, თავი გაანებოს ტფილისის მუშების როლზე ლაპარაკს და სთქვას თუ რისთვის შეჰკრიბა მან ეს ხალხი, თითონ ის აქ ვინ მოიწვია, და რისთვის დაღვარეს აუარებელი სისხლი რუსმა და ქართველმა მუშებმა. კრებამ მოლაპარაკეს ერთხმად მხარი დაუჭირა. მაშინ სტალინმა უცბად ტონი შეიცვალა და დაიწყო თავის გამართლება თავის მოქმედებაში, ამართლებდა მოსკოვის პოლიტიკას საქართველოსადმი. მთელ შეტაკებასა და სისხლის დაღვრისათვის დანაშაულობას საქართველოს ყოფილ მთავრობას აწერდა და მოათავა შემდეგი სიტყვებით: „რისთვისა ღელავთ? ცუდი რა გიყავით? ჩვენ ვიცავთ თქვენს ინტერესებს, ყველა მუშების ინტერესებს, თქვენ კი ეს არ გესმით. თქვენ ხომ იცით, რომ ყველა მუშების ინტერესები ერთი და იგივეა. გაათავა ლაპარაკი და დაჯდა.

ამის შემდეგ ადგა მუშა ალექსანდრე დღებუაძე და მიმართა მას შემდეგი სიტყვებით: „სოსო, შენ ჩვენ კარგად გვიცნობ და ჩვენც შენ კარგად გიცნობთ. ამ კრებაზე სრულებით საჭირო არ არის ერთმანეთის თვალების ახვევა: შენ გვიპასუხე მთავარ კითხვაზე: ნუთუ ამისათვის იბრძოდნენ რუსი და ქართველი მუშები მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, რომ მისი მოსპობის შემდეგ, ერთმანეთის სისხლი დაგვღვრარა?!. და ვინ მიიყვანა საქმე აქამდე? განა ჩვენ დავეცით მოსკოვს, თუ პირიქით, თქვენ შემოიჭერით სამხედრო ძალით. აიძულეთ რუსი და ქართველი მუშები სისხლი დაეღვარათ, რაც მათ სრულებით არ სურდათ. განა თქვენ რუსეთში ცოტა გაქვთ მოსაწესრიგებელი საქმეები?! თქვენში სიმშილია, სიცივე, მეზღვაურების აჯანყება ამის ნიადაგზე, და თქვენ კი მოძვრებით ჩვენსკენ და არ გვაძლევთ შესაძლებლობას ჩვენი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენ გვინდა. იმპერიალისტური ომი მოთავდა, თქვენ კი ისევ საშინელ ძმათამკვლელობის ომს აწარმოებთ. განა ეს მუშების ინტერესების დაცვაა?! მერე რა სახელით ხდება ეს?!.. რუს მუშებთან ჩვენ თვითონ მოვრიგდებით შენს დაუხმარებლად, ისინი ჩვენ გაგვიგებენ და ჩვენც მათ გავუგებთ, შენ მხოლოდ გვიშლი და წყალს გვიმღვრევ... ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ჯარების გაყვანას ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობიანობასა და სისხლის ღვრის მოსპობას“. კრება მოლვარედ მხარს უჭერდა საყვარელი ამხანაგის ყოველ სიტყვას.

მას შემდეგ გამოვიდა სიტყვებით მთელი რიგი მუშებისა, აგრეთვე პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ისიდორე რამიშვილი. ყველა ესენი ამათრახებდნენ სტალინს მისი ღალატისათვის და იმ დაუსრულებელი უბედურებისათვის, რომელიც მოიტანა საბჭოთა ჯარების საქართველოში შემოჭრამ. ბოლოს წამოდგა ყველას საყვარელი ძველი მუშა დათიკო დვალი. მივიდა სტალინთან ახლო და შემდეგი სიტყვებით მიმართა მას: „სოსო, შემომხედე პირდაპირ თვალებში! გრძნობ და გამოტყდები თუ არა ყველა იმაში, რაც შენ აქ ჩაიდინე? შენ ჩვენში არასოდეს არ გქონია თანაგრძნობა იმიტომ, რომ შენი საქმე და საქციელი ყოველი პატიოსანი მუშისათვის საზიზღარი იყო. შენ ამხედრებდი ჩვენს წინააღმდეგ საზოგადოების ყოველგვარ ნაძირალებს, რომელთა მეთაური შენ იყავი, და ამით ხელს უშლიდი ნამდვილ მოძრაობას. შენი საქმე აქ ბანდიტობა იყო, და ჩვენ მოგიშორეთ ჩვენს წრიდან, აგიძულეთ საქართველოდან წასულიყავი. დიდიხანია, რაც ჩვენ შენ აღარ გვინახავიხარ, ჩვენ ამის მოხარულიც ვიყავით, ეხლა კი მოხვედი და მერე რითი? ხელში იარაღით, მერე ვის წინააღმდეგ, ბურჟუების და არისტოკრატებისა? აქ ეს რა კრებაა? მუშებისა? მაშ რა საჭიროა აქ შენი ჩეკისტები (უჩვენებს ჩეკისტებზე, რომლებიც ყოველ კუთხეში დგანან), რომლებიც ასე მძიმედ შეიარაღებულან? განა ეს მუშების კრებაა? განა ეს ის თავისუფლებაა, რომლისათვისაც ჩვენ ამდენ სისხლსა ვღვრიდით და თავსა ვწირავდით?! არა, შენ ხარ მოძალადე. რა ეშმაკი ზის შენში?! ვისი შექმნილი ხარ? ადამიანისა თუ ეშმაკისა? მგონია — ეშმაკისა, მაშ შორს ჩვენგან, სატანა, ნუ მოგვიახლოვდები!.. (უკან დაიხევს), შენ ყოველთვის ბანდიტი იყავი და ბანდიტივე დარჩი, აი, რას გეტყვი მე შენ, სოსო!“... სთქვა რა მან თავისი გულისნადები, სწრაფად გაბრუნდა წავიდა. დარბაზი გაინაბა: ჭექა-ქუხილს ელოდნენ. ჩეკისტები ბრძანებას უცდიდნენ, მაგრამ სტალინმა, ოდნავ გაფითრებულმა და მაინც მომღიმარმა სწრაფად ქუდს ხელი დაავლო, კარებისაკენ ზურგით მიბრუნდა და გავიდა. რასაკვირველია ჩეკისტებიც თან გაჰყვნენ. ის გაემართა პირდაპირ ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ, სადაც მან ბრძანება გასცა შეეგროვათ კომიტეტის წევრები, რომლებსაც მიმართა: „დედლებო, ეს რასა ჰგავს, სადა სჩანს აქ ბოლშევიკური ხელი? აქ საჭიროა რკინის ცხელი უთო. მან მთელ საქართველოზედ უნდა გაიაროს, რომ ძირიან-ფესვიანად მოსპოს არსებული სული. აი, რა არის აქ საჭირო, თქვენ კი მათ ეფერებით“.

გამოსცვალა რა პარტიის კომიტეტის შემადგენლობა, გამოსცვალა საქართველოს „მთავრობაც“. მის თავმჯდომარედ დანიშნა ცნობილი კომუნისტი ბუდუ მდივანი „რბილი“ ფილიპე მახარაძის ადგილზე. უბრძანა — მთელ საქართველოში ურჩები დაეტუსაღებინათ, და მეორე დღეს მოსკოვისაკენ გასწია.

„საქართველო“,
ქართული პოლიტიკისა და კულტურის ორგანო.
მიუნხენი, ნოემბერი, 1951 წ.

ი. სტალინის გამოსვლა თბილისში მუშათა მიტინგზე 1921 წლის ივლისში.

ნახატი ბრიგოლ აბხაზისა.

მცირე შენიშვნა საჭირო სტატიების სერიალზე

(„ჰუჯაბის“ გამო)

„ახალგაზრდა ივერიელის“ №№ 132-138 ნომრებში და გამოქვეყნდა კ. ხარაძის სტატიები ჰუჯაბის ტაძარზე („მეზობელო კარისაო“). მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე შექმნილია მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომი ძველ ქართულ ტაძარზე, რომელსაც „ეპატრონებიან“ მეზობელი სომხები (უფრო ზუსტად — სოფელ ახქერფის აგრესიულად განწყობილი მაცხოვრებლები). პუბლიკაციას მივესალმები, მაქვს მხოლოდ ერთი პირადი შენიშვნა ავტორის დუმილთან დაკავშირებით, რაც ჩვენში საერთოდ დამახასიათებელია: თუ სხვა ავტორისადმი პირადი სიმპათია არ გაგვაჩნია, თამამად შეიძლება მისი უგულებელყოფა.

ჰუჯაბის პრობლემა დიდი ხანია მაწუხებდა, მიკვირდა, რომ ვახუშტის შემდეგ ჩვენი სხვა ეროვნული მოღვაწეების ლექსიკონიდან ეს სიტყვა თითქოს განიდევნა („ჰუპაის“ აბსურდული ეტიმოლოგიის საპირისპიროდ: მე ერთ-ერთ სტატიაში მქონდა მისი განმარტების რამდენიმე ვარიანტი, და ყველაზე უფრო დაშაჯერებლად მივიჩნევდი სიტყვის იმ გაგებას, რაც შემორჩა ჩვენსურულ და გურულ დიალექტებში, რომელთაც სხვა ავტორები რატომღაც უგულვებელჰყოფენ: გვარი, მოდგმა, შენობა, ნაგებობა; გვარები — გუჯაბიძე, გუჯაბაური...). ამ დიდებული ტაძრის დახასიათებას ვეძებდი გამოჩენილ ძველ და ახალ ავტორთა შრომებში (მაგალითად, დიმ. ბაქრაძის რუსულად დაწერილ „ქართულ ტაძართა ლექსიკონში“), მიკვირდა, რომ არ ახსენებდნენ, არც დღეს ვხვდებით მის ხშირ ხსენებას (გამონაკლისია ვ. ცინცაძის და რ. მეფისაშვილის მდიდრულად ილუსტრირებული „საქართველო, სომაგრეები და ტაძრები“).

ჰუჯაბის ძნელბედობით განსაკუთრებით დამაინტერესა უანგარო მოღვაწემ და პატრიოტმა მიხ. ვარაზაშვილმა. მაშინ შეძლებისამებრ შევისწავლე ჰუჯაბის გარშემო შექმნილი ვითარება და სხვადასხვა დროს გამოვაქვეყნე მოზრდილი ნარკვევები საერთო სათაურით: „ჰუჯაბი — ქართული ტაძარი“. ეს სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში: „სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „სოფლის ცხოვრება“, „ზარია ვოსტოკა“; დავწერე ბროშურა, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად ხუთ ენაზე (ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე); არაერთხელ მივმართე უმაღლეს საბჭოს, ცეკა-ს. ძეგლების დაცვის სამმართველოს, საიდანაც მივიღე ბ-ნ ირ. ციციშვილის პასუხი, რომ ჰუჯაბი ჩვენზე დამტკიცდა, გრძელდება მხოლოდ ტერიტორიული დავა (სადავო კი აქ არაფერია). როგორც კი „უპატრონო ტაძრის“ გამო შექმნილ საგანგაშო ვითარებაზე ცეკას მივმართე, მაშინდელი მდივანი დაუკავშირდა სომხეთის ცეკას მდივანს და მოხდა შეთანხმება ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ მალე დატრიალდა ტრაგედიები — სპიტაკში მიწა იძრა, თბილისში მშვიდობიანი ხალხი დაარბიეს შემდგომ უკვე დაიწყო დიდი ეროვნული მოძრაობა, ჰუჯაბისათვის აღარავის ეცალა, თუმცა ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ჰუჯაბიც ერთ-ერთი მაღალი რიგის ეროვნული პრობლემაა, არა მარტო ესოდენ დიდი ძეგლის კუთვნილების გამო, არამედ იმითაც, რომ მისი დაკარგვით ჩვენ დავკარგავდით მთელს დიდ რეგიონს, ვაშლის გაშლილ ბაღებს, წინაპართა სისხლით მორწყულ მიწას, რისთვის ავაშენებდით ტაძარს სხვის მიწაზე? როდის მომხდარა ეს?

როცა პირადად ჩავედით ჰუჯაბში ბ-ნი ივანე შაიშმელაშვილი, ბ-ნი მიხეილ ვარაზაშვილი და მე, იქ ჯერ გზის ჩვენებაც არ უნდოდათ, შემდეგ იქ დაგვხვდა აგრესიულად განწყობილ ახქერფელ სომეხთა მთელი რაზმი, და საკმაოდ მწვავე კამათიც გაგვიმართეს... ეს აღწერილი მაქვს ჩემს სტატიაში.

კ. ხარაძის სტატიაში არაა დავაწყებული არც სპეციალისტი, არც რესტავრატორი, არც სტუდენტები, რომელთაც ნამდვილად სანაქებო ყურადღება გამოიჩინეს ეროვნული ძეგლის მიმართ. ეს მართებულია. მაგრამ ბ-ნმა კობამ თავის სერიალში არც ახსენა ჩემი სტატიები, მონაწილეობა ამ საერთო საქმეში, წიგნი, რომლის შესახებაც პრესაში უკვე იყო ცნობები. ცხადია, ეს მისი უფლებაა, ან იქნებ არ მოეწონა ჩემი ნარკვევები, რომელთაც პრესაში მთელი გვერდები ეჭირა და სხვათა შორის მრავალ სხვა წყაროსთან ერთად მითითებული იყო მნაცაკანიანის და სტეპანიანის „სომხური ხუროთმოძღვრების ისტორიაზე“, რაც ახლახან გამოვიდა ლაიპციგში გერმანულ ენაზე, და სადაც ჰუჯაბი ნახსენებიც არაა (ამ წიგნს ჩემამდე არავინ ახსენებდა), მაგრამ ფაქტის აღნიშვნა ხომ მაინც ელემენტარული ეთიკის საკითხია ასეთ პუბლიკაციებში (მე ბ-ნი კობა ხარაძე ვახსენე).

ერთი მცირე შენიშვნაც: მეცნიერული კეთილსინდისიერებით გატაცებულ სპეციალისტს ისეთი საარქივო დეტალებიც აქვს გამოტანილი და ნაზგასმული, რომელთაც ახქერფელი მოდავეები არ იცნობენ და არც აქვთ ნამდვილი ისტორიული ღირებულება თავიანთი ტენდენციურობისა და თავხედური, ცალმხრივი გადაწყვეტილებების გამო, ამდენად არც შეიძლება გამოყენებულ იქნან საზღვრის და ტაძრის პრობლემის გადასაწყვეტად (არაკომპეტენტური კომისიების გადაწყვეტილებები, ხე-ტყის დროებით სარგებლობაში სომეთზე გადაცემის ფაქტი, გეგეჭკორის ანალოგიური „წყალობა“ და სხვ.), მაგრამ სომეხ ოპონენტებს შეუძლიათ გამოიყენონ, ჩაეჭიდონ და განაცხადონ: რაკი ჰუჯაბი ხელიდან ხელში გადადიოდა, რასაც თვითონაც აღიარებთ, მაშ ის ჩვენიც ყოფილა და რას გვედავებითო! ეს არ იქნება სერიოზული პრეტენზია, მაგრამ კონფლიქტისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ არ ვითხოვთ მეცნიერული ეთიკის დარღვევას, მაგრამ ზოგჯერ ასეთ წვრილმანებს, ვგონებ, ვითარებისა და ეროვნული თვალსაზრისის შესაბამისად უნდა გადაწყვეტა. ჰუჯაბს ვერ დავთმობთ თვითმფრინავიდან ინგლისელების მიერ გადაღებული „რუკისა“ და არაქართველებისაგან შემდგარი კომისიების თვითნებური „განაჩენის“ საფუძველზე, რაც სხვათა შორის ცაკის სპეციალური გადაწყვეტილებითაც მალე - გაუქმდა.

სტატიების ხარაძისეული დასკვნითი ნაწილი შესანიშნავად იძლევა ეროვნული სამართლიანობის აღდგენის სურათს, მაგრამ ასეთი ხასიათის ბრძოლაში არ გვეკადრება ქედმაღლური იგნორაცია იმათი, ვისაც ამავე საქმეში წლობით უბრძოლია.

მზავარი კი ისაა, რომ რესტავრაცია და სოფელ ჰუჯაბის მშენებლობა დროულად დავიწყოთ და დავასრულოთ, რომ ქართული ტაძრის მცველმა ხელფასი ერევნიდან აღარ მიიღოს პაკეტით.

პაპაკი ბელოვანი.

საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის საინიციატივო ჯგუფის განცხადება

ა. წ. 25 იანვარს ქ. თბილისში, თავისუფალ პროფკავშირების კონფედერაციის სააქტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია. კავშირის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა. კონფერენცია დაიწყება 15 სთ-ზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

თეატრალურ თბილისს კიდევ ერთი ახალი კულტურის კერა შეემატა, შეიქმნა თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი.

დედაქალაქში გაჩნდა პუბლიცისტური თეატრი იმ ადამიანის სახელობისა, რომლის მგზნებარე სიტყვაც რწმენით აღავსებდა ყველა ჩვენთაგანის სულსა და გონებას.

ამ თეატრის სცენიდან, უპირველესად, ახალგაზრდობამ უნდა გაისგრძეგანოს ჩვენი ეროვნული მოძრაობის სიდიადე, საქართველოსათვის გაღებული სისხლისა და ტკივილის ფასი.

თეატრის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს არ ისარგებლოს მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდიდან, პირიქით, — თავისი წვლილი შეიტანოს ამ ფონდში.

მაგრამ, ამ ეტაპზე, ახალი ეროვნული თეატრის ფეხზე დასაყენებლად საჭიროა, ჯერჯერობით მას ამოვუდგეთ მხარში; რეკონსტრუქცია უნდა ჩაუტარდეს ყოფილ კინოთეატრის — „ისანი“ შენობას, კეთილმოეწყოს მისი შემოგარენი; ამის პარალელურად შემოქმედებითმა ჯგუფებმა უნდა იმუშაონ პრემიერაზე. ყოველივე ამის დაფინანსებაზე დამოკიდებულია თეატრის ხვალინდელი დღე. ამიტომ კარგი იქნება, თუ თეატრს გამოუჩნდება სპონსორი, ასევე, შეფი ორგანიზაცია, რომელთანაც თეატრი დაკავშირებული იქნება ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

ორგანიზაციებს ან ცალკეულ პირებს, ვისაც სურვილი გაუჩნდება, თავისი წვლილი შეიტანოს ამ ეროვნულ საქმეში, შეუძლია დახმარების თანხა გადმორიცხონ შემდეგ ანგარიშზე.

ჩვენი რეკვიზიტია:

თბილისი-380044, ქეთევან წამებულის გამზირი № 90, ბინსოცბანკის ისნის რაიონული განყოფილება.

თეატრის საანგარიშსწორებო ნომერია: 000601511, ბანკში თეატრის კოდია: 521716.

ჩვენი მისამართია — (თბილისი-380044, ქეთევან წამებულის გამზირი № 94.

თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი. ტელ: 74-13-28, 74-58-55. ყოფილი კინოთეატრი „ისანის“ შენობა).

თეატრის დირექტორი
ზ. ვ. ნინუა

1991 წლის 21 იანვარი.

ღვთისშვილთა კავშირში

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრეს-ცენტრი იუწყება, რომ ამა წლის 1 მარტამდე, კავშირის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, შეწყვეტილია მოქალაქეთა მიღება.

როგორც კავშირის პრეზიდენტმა ზაზა სიხარულიძემ განაცხადა, ეს განპირობებულია იმ მიზეზით, რომ, გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა გამო, კავშირში შეიქმნა იმგვარი ვითარება, როცა ზოგ-ზოგნი ცდილობენ ისარგებლონ ღვთისშვილთა კავშირისათვის მინიჭებული შეღავათებით და კავშირის სახელით აკეთონ თავიანთი „საქმეები“.

ამგვარ მოვლენებს ჩვენ მაშინაც კი არ ვურიგდებოდით, როცა კომუნისტური რეჟიმი გვიხუთავდა სულს, და მითუმეტეს არ შევურიგდებით ახლა, როცა ახალი საქართველოს ხელისუფლება ცდილობს კანონიერება დაამყაროს ჩვენი ცხოვრების ყველაზე რთულ — სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

იმედია, ჩვენი საზოგადოება და ხელისუფლება გაგებით მოეკიდებიან ჩვენი კავშირის წინაშე წამოჭრილ დროებით სირთულეებს, ჩვენ კი არაფერს დავიშურებთ, რათა უმოკლეს ვადაში მოვაგვაროთ აღნიშნული პრობლემები.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ნერილი მეორე

ახლა ნება მიბოძეთ მცირე განმარტება, შენიშვნები და სურვილები გაგიზიაროთ.

ჯერ ერთი: როგორც ვნახეთ (იხილეთ — წერილი პირველი: „ახალგაზრდა ივერიელი“, 1 იანვარი, 1991) პატივცემულმა გამომცემლებმა და მათმა მიმდევრებმა დაუმსაზურებლად აღაზევეს ეგზოტი (უცხო) ცხოველები, მაშინ, როდესაც ამ გამოცემებში ენდემინილ სახეობათა გამომხატველი არც ერთი პლაკატი ან სხვა სურათი არ გამოცემულიყო. მიზეზი: ქაღალდის დეფიციტი!!!

ამ დროს, ჰოი საკვირველებავ, ეგზოტი კატების, ძუტების, მაიმუნების, თუთიყუშების, სარეველა ბალახ-ბულახის, უცხო კაცთა და უცხო დედაკაცთა მადიდებელ კალენდრებს და სხვა გამოცემებს ბოლო არ უჩანს...

და ავტორმა, როგორც გასაპირში ჩავარდნილს სჩვევია, რჩევასათვის ბრძენს მიმართა, ხოლო ბრძენი ღაღადებს:

„ერთის რომელსამე საგნის ამოჩემება, იმისი „მოდად“ დაწესება და სხვა საგნების დავიწყება კარგი არასდროს არ ყოფილა და











რეკორდები გინესის წიგნისათვის

ბის (საქართველოს ბინადართა) ჰაჰანება არ არის!

მეორე: არსად, არც ერთ ცხოველს არ უწერია რიგი, ოჯახი, გვარი და სახელი, მაშინ, როდესაც გამომცემლობა „განათლების“, ან ვთქვათ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გრიფით გამოცემულ კალენდრებში ყველაფერი გარკვევით არის მითითებული.

მესამე: ფაუნის მოყვარულთა და მონადირეთა აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა გამოცემაში წარმოდგენილია უბრალო, უჯიშო, ანუ ნაჯვარი კატები, მაშინ როდესაც მსოფლიოს ჰყავს საზელგანთქმული ეგზოტები: ანგორის, სიამის, სინქსის, სპარსული, ჩინური, ცისფერი და სხვა ჯურის კატები.

მეოთხე: დამცირებულია თვით ეგზოტთა ჯილაგი, მათი თვისება და ღირსება. მაგალითად, გერმანული პუდელი, ქათქათა, ვეება, შავცხვირა არსება, ჩვენს ფოტოგრაფს ყვითელ, წითელცხვირა ფინიად უქცევია; შოტლანდიური მეცხვარის ძაღლი გადაკეცილი ყურით გამოირჩევა, ჩვენი კალენდრიდან კი ყურებაცქვეტილი ძაღლუკა იცქირება...

მეხუთე: საქართველოს წითელი წიგნი ერთხელ და სულ რაღაც 5 ათას ცალად გამოიცა (1982), ათეულ მილიონ ცალად გამოცემულ ეგზოტთა ნაცვლად კი შეიძლებოდა ამ წითელ წიგნში შესული ყოველი ენდემი გვეხილა. ასე და ამგვარად, რესპუბლიკის ყველა ბაგა-ბაღს, ყველა სკოლას და სასწავლებელს, ყველა კულტურულ საგანმანათლებლო კერას სულ ცოტა 1000-2000 ეგზემპლარი ცხოველის სურათი შეზვდებოდა. და დიდსა და პატარას, ერთხელ და სამუდამოდ ეცოდინებოდა ჩვენი ფაუნის და ფლორის გასაპირი, ანუ რა წერია და რა ხატია იმ წითელ წიგნში, რომელიც ბევრს თვალითაც არ უნახავს!

მეექვსე: მარტო ეს, თვალსაჩინო, ერთი შეხედვით უბრალო საშუალება ჩვენს წითელ წიგნში შეტანილ სახეობათა სიის დადგენიდან (31.VII.1977) დღემდე ვიხ იცის რამდენ დიდ საქმეს გაკეთებდა, ხალხმრავალ საკრებულოთა, თუნდ საკოლმეურნეო ბაზრის ჭიშკართან რომ გაკრულიყო.

მრავალი ათასი მოქალაქე, ასაკოვანი და ახალგაზრდა ასე გაიგებდა, რომ ესა თუ ის ცხოველი, მცენარე, მათი ნაყოფი, ნაწილი, თესლი თუ კვერცხი, რომელიც დღეს აშკარად და თამამად მოიპოვება და იყიდება, არის გადასარჩენი და ხელისხელსაგოგმანები საგანძური!

მეშვიდე: რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (1977 წლის 31 ივლისის, 1983 წლის 3 ოქტომბრის და სხვ.) დადგენილებით ჩვენს წითელ წიგნში შეტანილი ყოველი ცხოველი და მცენარე სათანადო ტექსტიანი სურათით — ფერადი პლაკატის სერიით უნდა წარმოჩენილიყო. ეს საქმე საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს და გამსახკომს დაევალათ. დაევალათ და... ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე ამ ცამეტ წელიწადში, როგორც ვნახეთ, ყველაფერი იღონა, რომ წითელ წიგნში შეტანილ სახეობათა გამომხატველი არც ერთი პლაკატი ან სხვა სურათი არ გამოცემულიყო. მიზეზი: ქაღალდის დეფიციტი!!!

ამ დროს, ჰოი საკვირველებავ, ეგზოტი კატების, ძუტების, მაიმუნების, თუთიყუშების, სარეველა ბალახ-ბულახის, უცხო კაცთა და უცხო დედაკაცთა მადიდებელ კალენდრებს და სხვა გამოცემებს ბოლო არ უჩანს...

და ავტორმა, როგორც გასაპირში ჩავარდნილს სჩვევია, რჩევასათვის ბრძენს მიმართა, ხოლო ბრძენი ღაღადებს:

„ერთის რომელსამე საგნის ამოჩემება, იმისი „მოდად“ დაწესება და სხვა საგნების დავიწყება კარგი არასდროს არ ყოფილა და

არც ჩვენთვის იქნება“ — ილია ჭავჭავაძე.

ყველაფერი ნათელია, ცხადია, ფაქტებიც საკმარისია, იტყვის დაკვირვებული მკითხველი, და მაინც, ეს მინაწერი, ეს დასკვნა რომ არა, უთუოდ გული დასწყდება. ვინაიდან ჩვენში გამოცემული უთვალავი აპლიკაციების, ლითონის, ხის, ძვლის, პლასტმასის, გნებავთ ქსოვილების ნახატი სიუჟეტებიც ხშირად ასევე არაფრის მთქმელია. მარტო ყბადაღებულმა მგელმა და კურდღელმა ლამის ამერ-იმერი წალეკს.

მაშ, რა ვაკეთოთ? რით გავახაროთ მყიდველი?

მე რომ მკითხონ, მე რომ გაერთიანების (საწარმოს) ხელმძღვანელი ვიყო, კალენდარს, გნებავთ სხვა გამოცემას თუ ნაწარმოებს საქართველოს, აგრეთვე, საერთაშორისო წითელ წიგნში ერთდროულად მოხვედრილ ცხოველთა სურათებით დავამშვენებდი. დაე, ერმა და ბერმა იცოდეს რისი გადარჩენა-გაფრთხილება-გამრავლება გვმართებს ყველაზე მეტად. ესენია: ნიამორი და ჯიქა; ირემი

დავბეჭდოთ;

ამირანი, თეთრონზე ამხედრებული, ხმალამოწვდილი შავ გველეშაპს ყურშასთან ერთად რომ გმირავს.

კოლხი ასული — მედეა, ბუნების მესაიდუმლე, ბერმუხით, ოქროს საწმისით, ურჩხულით და ხოხბებით გარემოცული!..

ფარნავაზ მეფე — ირმის გუნდის და განძის მპოვნელი!..

ფარსმან მეორე და მისი თანაგუნდელი მხედრები — ასპარეზობით რომი რომ გააკვირვეს!...

მირიან მეფე ნადირობისას — წმიდა ნინოს ღმერთს რომ ევედრება!..

თბილისის დაარსების ლეგენდა — ვახტანგ მეფე და ხოხობს გაკიდებული შავარდენი!..

გარეჯელი ბერები ირმებს რომ წველიან!..

ქვაში ნაკვეთი სასწაულები: ლომთან მორკინე ხარჯიხვი ბოლნისის სიონისა, მზიანი ქორბუდა ატენის სიონისა, ნადირთა ომი ბაგრატის ტაძრის სვეტისთავეისა!..

დავით აღმაშენებელი და მისი

ვეძებოთ და ვიპოვით. თახვია ესთახვი დავბეჭოთ!..

ერთი სიტყვით, ჩვენი ღმერთები, ჩვენი წმინდანები, ჩვენი გმირები, ჩვენი დიდოსტატები, ჩვენი ძეგლები, ჩვენი ფაუნა, ჩვენი ფლორა, ანუ ყველა, ვინც მოგვიტანა აქამომდე ეს საქართველო, ყველაფერი, რითაც ამაყობს და სულდგმულობს ქართველი ერი...

ერომმა განწყობამ ერის წიაღიდან ამდენი დიდებული სიუჟეტი გამოაბრწყინა. იმედია, დანარჩენს, საქართველოს ბუნების, მეცნიერების, განათლების და კულტურის, პოლიგრაფიული. მსუბუქი, მძიმე და ელექტროტექნიკური მრეწველობის სხვა გულშემატკივარნი იტყვიან!...

გვანჯი ვანია

P. S. დაბრალოს, ნახეთ, განხილეთ, თუ როგორ განხორციელდება აქ წარმოდგენილი უცხოური გამოცემები ჩვენში გამოქვეყნებული კატების, მაიმუნების თუ ზიზეული ქალების კალენდრების ამ კოლექციისაგან, პირველ წერილში რომ შემოგთავაზეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონი სეკუნდანტის თვალით



დიალოგი საერთაშორისო დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილთან

— ზურაბ, ჩვენი საზოგადოებრიობა შენი მოხყიდვის ამაო ცდის შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, ამ ფაქტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. საინტერესოა როგორც კასპაროვის, ისე კარპოვის აზრი ამის თაობაზე. ცნობილია, რომ კარპოვმა ეს ფაქტი, ცოტა არ იყოს ირონიულად შეაფასა.

— სწორი ბრძანებაა, მაგრამ თავიდან ვიტყვი იმას, რომ ეს ცნობა პირველად გაზეთმა „ლელომ“ გამოაქვეყნა. მაშინ მე ვთვლიდი და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი ძალიან უნდა გახმაურებულიყო. ეს იქნებოდა საუკეთესო თავდაცვა. მომხდარისადმი ჟურნალისტთა დაინტერესება დიდი იყო, მაგრამ კასპაროვის დედას ეს არ სურდა. მან მკითხა კიდეც — პოპულარობა გინდა თუ შენი ოჯახის მაქსიმალური უსაფრთხოებაო? არ ვიცი, რატომ ფიქრობდა ის ასე, მაგრამ მე ვუპასუხე, რომ მინდოდა განთავისუფლება იმ კომპლექსისაგან, რომელიც გამოწვეული იყო ჩემს სახლში, თბილისში კასპაროვის ორი დამცველის ყოფნით. ვინმეს რამე, რომ მოენდომებინა, ცხადია, იქ ორი კაცი ვერაფერს გახდებოდა. ამიტომ ინტერვიუ ბევრს მივეცი.

— უფრო კონკრეტულად?

— სრული ინფორმაცია მივაწოდე საკდენს, მაგრამ მან რატომღაც თავი აარიდა მის გავრცელებას. რაც შეეხება საზღვარგარეთის ინფორმაციის საშუალებებს, მათ საკმაო ხმაური ატეხეს მომხდარის გამო. ამან გარკვეულწილად, მე უფრო „პოპულარულიც“ გამხადა. ბევრი მეკითხებოდა დეტალებზე, მათ შორის მატჩის მთავარი მსაჯი ჰიურტ გისენიც. რაც შეეხება ჩემპიონისა და პრეტენდენტის დამოკიდებულებას ფაქტისადმი, გეტყვით, რომ მათ ერთნაირად როდი აღიქვეს ჩემზე თავდასხმა. გარიმ თავისი პოზიცია ჟურნალისტებთან საუბარში ნათლად გამოხატა. მან თქვა — როცა ზურაბი ნიუ-იორკში ჩამოვიდა და შეეხვედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, როგორი ტერორის ქვეშ მოხვდაო. კარპოვმა სრულიად დიამეტრალური პოზიცია დაიკავა. იგი ირონიით შეხვდა მომხდარს, თავი აარიდა ზედმეტ პასუხებს და ერთი სიტყვით მოკრა ყველაფერი.

— რამდენადაც ვიცი, ამ ფაქტით ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოებიც დაინტერესდნენ, მაგრამ ძიებას ჯერ საგულისხმო შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. ამიტომ სანამ უშუალოდ მატჩის პერიპეტიებს შევეხებოდეთ, იქნებ დააკონკრეტო, თუ რატომ არ იყო გუნდში ალექსანდრ ნიკიტინი, რომელიც კასპაროვს პატარაობიდან დღემდე მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა და ითვლებოდა შეუცვლელ მწვრთნელად.

— ნიკიტინი და კასპაროვი ჯერ კიდევ მატჩამდე 4-5 თვის წინათ დასცილდნენ ერთმანეთს. ეს გამოიწვია ახლად შექმნილ მოჭადრაკეთა კავშირში მომხდარმა კონფლიქტმა. ის წარმოიშვა თავად კასპაროვსა, ამ კავშირის მენეჯერ მიხეილ ბაიტინსა და გარის მოადგილეს ევგენი ბებჩუკს შორის. ამ უკანასკნელს გარისაგან უფლება ჰქონდა, ეწარმოებინა საქმეები. შემდეგ მოსკოვში, მსოფლიოს თასის გათამაშების ბოლო ეტაპის ტურნირის ორგანიზება ბებჩუკმა ითავა. როცა გარიმ ნახა მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, მიხვდა, რომ იგი უსინდისოდ უშვებდა შეგნებულ შეცდომებს — გაზრდილი იყო არასაჭირო ხარჯები. ეს თანხა დაახლოებით ასი ათას მანეთს აღემატებოდა. ამის გამო გარიმ უარი უთხრა ბებჩუკს ღონისძიების ორგანიზატორობაზე. ბუნებრივია, ამან ბებჩუკი გაანაწყენა. მან რაღაც საქმეების ჩხრეკვა დაიწყო ბაიტინის საწინააღმდეგოდ. გარიმ ბაიტინის მხარე დაიჭირა, რის გამოც ბებჩუკმა შეძლო მოჭადრაკეთა კავშირის ანგარიშის „დაპატიმრება“. გარი იძულებული გახდა მოსკოვის საქალაქო საბჭოს ჩარევით თავიდან გაეხსნა ანგარიში. მოკლედ, მას ბევრი ბრძოლის გადატანა დასჭირდა, რათა ტურნირი არ ჩაშლილიყო. ყოველივე ამის მიუხედავად, ნიკიტინმა ამ კონფლიქტში თავისი მეგობრის ბებჩუკის მხარე დაიჭირა. ჩემი აზრით, ეს მისი დიდი შეცდომა იყო, რადგან გარი ნიკიტინისთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვინემ ბებჩუკი. თანაც ბებჩუკი ყოველნაირად მტკუანი იყო ამ კონფლიქტში. გარი ნიკიტინის ხელში გაიზარდა. მათ 15 წელი დაჰყვეს ერთად და შეიძლება ითქვას, ნიკიტინი გარის „მეორე მამად“ ითვლებოდა. კასპაროვი ცალკე ელაპარაკა ნიკიტინს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მწვრთნელი ჯიუტობდა და არაფრის გაგონება არ სურდა. გარი ამის მეტად არ ჩარეულა საქმეში, მაგრამ ნიკიტინმა თავად მოინდომა გუნდიდან წასვლა, რაზეც მსოფლიო ჩემპიონს არაფერი უთქვამს.

— გამოდის, რომ ინიციატივა კასპაროვისაგან არ წამოსულა?

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ არა. ისინი ძალიან კორექტულად დაშორდნენ ერთმანეთს. ეს ფაქტია. თუმცა შემდეგ ნიკიტინი მაინც შეცდა. მან ყაზანის გაზეთის ზედიზედ ოთხ ნომერში ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა. ჩვენ ეს ნომრები ლიონში მივიღეთ. ნიკიტინის ღვარძლიან ინტერვიუს უკვალოდ არ ჩაუვლია.

— რა ხასიათის იყო ეს მასალა?

— იქ ნიკიტინი საკმაოდ გესლიანად ლანძღავდა კასპაროვების ოჯახს, ბევრი რამ პირადული ტენდენციურად ჰქონდა საუბარაზე გამოტანილი.

ნიკიტინს კი, სანქცია რომ არ ჰქონოდა მიცემული, შეეძლო შეეჩერებინა ინტერვიუს ბეჭდვა. მან ეს არ გააკეთა, შემდგომ არც პროტესტი დაუბეჭდავს. ეტყობა, გარის ბებიასთან მობოდიშებისას ის ისევ ტყუოდა. საინტერესოა, გასცა რაიმე პასუხი ჩემპიონმა ან მისმა ოჯახმა ნიკიტინის ინტერვიუს?

— არავითარი. თუმცა თავიდან მან, როგორც ვთქვი, კასპაროვების დიდი გაოცება, შეიძლება ითქვას, გაოგნება გამოიწვია.

— ზურაბ, მატჩის დაწყებამდე გარი პოლიტიკურ სარბიელზე ძალიან აქტიურობდა. ამიტომ მაპეშაც კი არ გაუგზავნა ყრილობას, რომლის მაღალ დონეზე ჩატარებითაც ის სიხსნხორცეულად იყო დაინტერესებული.

— ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს გარემოებანი უცნობია. ვიცი ის, რომ როცა ეს პარტია იქმნებოდა, გარის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მის ხელმძღვანელობასთან. მერე ეს დამოკიდებულება გაუარესდა და როცა ტრავკინი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, გარიმ იმავე დღესვე შექმნა თავისი ფრაქცია. იგი ტრავკინს არც კი მიიჩნევს სერიოზულ მეტოქედ. ფიქრობს, რომ ტრავკინი გარდამავალი ეტაპია. შენ, ალბათ, იცი, რომ „დემოკრატიჩესკაია როსია“ ფაქტიურად გარის გაზეთია.

— ეს გასაგებია და ზურაბ, როგორ ფიქრობ გარის გატაცება პოლიტიკით თავისებურ დალს არ დაუწევამდა მატჩის ხარისხს?

— რა თქმა უნდა, დაასვამდა. ეს ეტყობოდა კიდეც მატჩს, გარის თამაშს. იგი თამაშის ბოლო საათებზე, როგორც წესი, იღლებოდა. და ამის ფონზე, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ კარპოვი, რომელიც ჩემპიონზე ბევრად უფროსია, გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს. ეს ცხადია, გამოწვეული იყო გარის ზედმეტი, იმ ხანებში მაინც, პოლიტიკური გატაცებებით, რამაც ჩემპიონი ფაქტიურად ორად გაყო. თავისი ხასიათით კი, კასპაროვი არ არის ის კაცი, ვინც ერთდროულად ორ საქმეს მისდევს და ორივეს საშუალოდ აკეთებს. გარი ყველა საქმეში, რომლის ინიციატორიც თავადაა, ცდილობს, იყოს პირველი, იყოს მხოლოდ წინა პლანზე. ეს მისი ხასიათია და თუ გნებავთ, ხაზგასმული ამბიციურობის დამადასტურებელიც. სწრაფვა პირველობისაკენ კი, რა საქმეც არ უნდა იყოს ეს, ნებისმიერი პიროვნებისაგან მაქსიმუმის გაღებას ითხოვს. ბუნებრივია, შეუძლებელია ადამიანმა ორ საქმეს ყველაფერი შესწიროს, ყველაფერი გაიღოს ისე, რომ ერთს არაფერი მოაკლდეს. სწორ-



— კი მაგრამ, თუ ობიექტური იყო ეს მონაცემები, რაღა მაინცა და მაინც პროვინციულ გაზეთში გამოაქვეყნა ნიკიტინმა ეს ინტერვიუ? დარწმუნებული ვარ, ცენტრალური პარტიული პრესა გარის მაკომპრომიტირებელ მასალაზე უარს არ იტყოდა, რათა თავის დროზე და ალბათ, ახლაც თავიანთი „ლიუბიმჩიკისათვის“— კარპოვისათვის ესიამოვნებინათ.

— შეიძლება, ეს ასეცაა, მაგრამ მგონია, რომ ცენტრალური გაზეთები შეყოყმანდებოდნენ. ყაზანის გაზეთი კი სენსაციას დაუფიქრებლად გამოეკიდა. ამ ინტერვიუთი ნიკიტინმა საბოლოოდ გამოიაშკარავა თავი. ის ხომ წლების მანძილზე ითვლებოდა კასპაროვების ოჯახის მეგობრად. ამ ინტერვიუმ, ჩემი აზრით, საბოლოო დაღი დაასვა მწვრთნელისა და შეგირდის ურთიერთობას. ეტყობა ნიკიტინი მოგვიანებით მიხვდა თავის შეცდომას და მოსაბოდიშებლად გარის ბებიასთან მივიდა, უთხრა, რომ მე ინტერვიუს დაბეჭდვისათვის სანქცია არ მიმიციაო.

— ეს, ალბათ, არ არის ხწორი, რადგან ინტერვიუ, როგორც შენ თქვი, ყაზანის გაზეთის ზედიზედ ოთხ ნომერში გამოქვეყნდა. ინტერესებს ერთი ფაქტის გარკვევა. ცნობილია, რომ შარშან, დეკემბერში მოსკოვში გაიმართა რუსეთის დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობა. ეს პარტია დღეისათვის 25 ათასზე მეტ კაცს აერთიანებს. მათ შორისაა გარი კასპაროვიც. ცნობილია ისიც, რომ ამ პარტიაში ახლა დიდი განხეთქილებაა. ერთ მხარეს არის ნიკოლაი ტრავკინი, რომელიც ფაქტიურად კომპარტიის რადიკალური, გაუმჯობესებულ მოდელს ეურჩნობა და მეორე მხარეს-აა არკადი მურაშევი, რომელსაც ემხრობა კასპაროვი. პრესაში ითქვა იმის თაობაზე, რომ გარიმ ითხოვა ყრილობის გადატანა მიმდინარე წლის იანვრისათვის. მას, ალბათ, გულით უნდოდა დახწრებოდა ყრილობას, მაგრამ ტრავკინმა უარად არ ილო ჩემპიონის თხოვნა და ყრილობა, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად ჩაატარა. ჩატარა ისე, რომ ხაბუთები და გარკვეული ორგანიზაციული საკითხები არც ჰქონდა მოგვარებული. საინტერესოა, ეს ფაქტი ხომ არ გახდა იმის მიზეზი, რომ გარიმ მისალოცი დეპეშაც კი არ გაუგზავნა ყრილობას, რომლის მაღალ დონეზე ჩატარებითაც ის სიხსნხორცეულად იყო დაინტერესებული.

— ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს გარემოებანი უცნობია. ვიცი ის, რომ როცა ეს პარტია იქმნებოდა, გარის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მის ხელმძღვანელობასთან. მერე ეს დამოკიდებულება გაუარესდა და როცა ტრავკინი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, გარიმ იმავე დღესვე შექმნა თავისი ფრაქცია. იგი ტრავკინს არც კი მიიჩნევს სერიოზულ მეტოქედ. ფიქრობს, რომ ტრავკინი გარდამავალი ეტაპია. შენ, ალბათ, იცი, რომ „დემოკრატიჩეს-

თანამედროვეობის ორი უდიდესი მოჭადრაკის გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის ზედიზედ მეხუთე მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. იგი 1886 წლიდან — მსოფლიო პირველობაზე ოფიციალურად ჩატარებული პირველი მატჩიდან დღემდე გამართულ ყველა ორთაბრძოლას აღემატებოდა. აღემატებოდა ყველაფრით — სპორიზო ფონდის ოდენობით, უკიდურესად დაძაბული სიტუაციით, საერთო ყურადღების ცენტრში ყოფნითა და აყიოტაჟით. გრანდშერკინების ეს რაუნდი, ალბათ, დიდხანს, დიდხანს იქნება საჭადრაკო სამყაროს გაცხოველებული კამათისა და მსჯელობის საგანი.

ბაქოელი დიდოსტატის გარი კასპაროვის დამაჯერებელმა გამარჯვებამ კიდევ უფრო გაამყარა მისი დიდი საჭადრაკო რეპუტაცია მთელ მსოფლიოში.

და მაინც, რით იყო ეს მატჩი გამორჩეული სხვებისაგან? რა სიტუაცია იყო ნიუ-იორკსა და ლიონში, სადაც ორთაბრძოლის პირველი და მეორე ნახევარი ჩატარდა? როგორი იყო მეტოქეთა დამოკიდებულება ერთმანეთთან, რომელიც ბოლო ხანებში როგორც ცნობილია, ძალიან დაიძაბა — ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხი თუ ჩემპიონისაგან არა, მასთან დაახლოებული „პირველი პირისაგან“ მაინც უნდა მიიღო.

სწორედ ეს გახდა ცნობილ ქართველ დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილთან ვრცელი დიალოგის მიზეზი. ქართველი მოჭადრაკე, როგორც ფართო საზოგადოებამ იცის, გარი კასპაროვის მწვრთნელთა ბანაკში „პირველი ხმა“ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი ოპონენტს

რედ ეს იგრძნობოდა ნიუ-იორკსა და ლიონში. მეტიც, კასპაროვმა ისიც კი განაცხადა, რომ 1993 წელს ითამაშებდა თავის ბოლო მატჩს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მისი წინასწარი განცხადებაა!

— ვერ გავიგე, ამგვარი განცხადება თავის დროზე ლეგენდარულ რობერტ ფიშერსაც კი არ გაუკეთებია, რა უნდა გარის ამით თქვას. იქნებ უფრო დაკონკრეტო?

— კეთილი, მე არა მგონია, რომ იგი ამას შესრულებს. და თუ მაინც, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა გარი გაიმარჯვებს 1993 წლის მატჩში. თუ წაგო, მე სრულიად ვარ დარწმუნებული, რომ კასპაროვი საჭადრაკო სარბიელს წაგებული არ დატოვებს. საერთოდაც, გარი არაა ის კაცი, რომელიც „ხალიჩიდან" დამარცხებული გადის.

— ზურაბ, ცნობილია, რომ მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელთა ბანაკში იყო მეორე ქართველი მოჭადრაკეც — ნიჭიერი საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძე. როგორ მოხვდა იგი გუნდში? დარწმუნებული ვარ, შენგან კეთილი სიტყვის გარეშე ეს არ მოხდებოდა.

— ეს გრძელი ისტორიაა, მაგრამ ღირს მოყოლად. იმ პერიოდში, როცა გარი დაშორდა თავის პირველ მწვრთნელს, ჩვენ ვიცოდით ისიც, რომ ჩემპიონი დიდოსტატ იოსებ დორფმანსაც შეელეოდა, მართალია იგი კარგი სპეციალისტია, ძლიერი თეორეტიკოსი, მაგრამ გარიმ რატომღაც დაუშვა მისი მხრიდან შესაძლო ღალატი და წინდაწინ დაიზღვია თავი. კასპაროვებმა დაიწყეს სანდო, ერთგული და ძლიერი მოჭადრაკის ძებნა. მართალია, გარის ბევრ დიდოსტატთან აქვს კარგი ურთიერთობა, მაგრამ არა ისეთი, რომ ბოლომდე ნდობოდა ვინმეს. ამიტომ კასპაროვებმა მე მთხოვეს დახმარება.

— ზურაბ, მაპატიე, რომ გაწყვეტინებ, რატომ ამბობ კასპაროვებს მრავლობითში?

— იმიტომ, რომ ამგვარ საქმეებში ხშირად განმსაზღვრელი სიტყვა ჩემპიონის დედას, ქალბატონ კლარას ეკუთვნის.

— გასაგებია, შემდეგ?

— შემდეგ ვითხოვე, გარკვეული დრო მოეცათ ჩემთვის. შევპირდი, რომ ზაფხულამდე მოვძებნიდი ვინმეს. მანამდე კი გარკვეული იყო მხოლოდ ის, რომ გარისთან ვიქნებოდით მე, დიდოსტატი სერგეი დოლმატოვი და ოსტატი ალექსანდრ შაქაროვი. მოხდა ისე, რომ შარშან აპრილში მე და გია გიორგაძე წავედით დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. თავიდან იყო სიძნელეები, მაგრამ ორგანიზატორებმა ანგარიში გაუწიეს ჩემს წინადადებას — ყოფითი პრობლემების მოგვარების შესახებ. მალე ყველაფერი მოგვარდა. იქ გია თავისი ფართო საჭადრაკო ერუდიციით მე ძალიან მომეწონა.

დორტმუნდის შემდეგ მე წავედი ავსტრალიაში, იქიდან დაბრუნებისთანავე წავედი პესტოვოში, სადაც გარის შეკრება ჰქონდა დანიშნული. სწორედ იქ შევთავაზე კასპაროვებს ჩემი კანდიდატურა. რაზეც მათ, რაღა დაგიმალო და საკმაოდ უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ.

— მიზეზი?

— მიზეზი უბრალო იყო. მათ მაინც და მაინც დიდოსტატის მოწვევა უნდოდათ. კაცმა რომ თქვას, გასაგები პრეტენზიაა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ პერსპექტიულ ოსტატსა და დიდოსტატს შორის ბევრი სხვაობა არც არის. მეტიც, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ზზარდ ოსტატს, რომელიც ჩინის მომატებაზე ზრუნავს, გაცილებით ძლიერი საჭადრაკო იდეები ჰქონდეს, ვინემ დიდოსტატს.

— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— ჩვეულებრივად, მე არ დამიძალებია და ბუნებრივია, მეტ პასუხისმგებლობას ვერც ავიღებდი ჩემს თავზე. მაშინ ამით დამთავრდა ყველაფერი. შემდეგ დასახმარებლად მე თვითონ წავიყვანე გია მოსკოვში, მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო ტურნირზე. სწორედ იქ გადაწყდა გიას გუნდში მოხვედრის საკითხიც.

— კი მაგრამ, რა მოტივით დათანხმდნენ კასპაროვები?

— ეს მოხდა საკმაოდ უცნაური შემთხვევის წყალობით. მოსკოვში მე შავებით მომიწია დიდოსტატ ბორის გელფანდთან თამაშში. ჩემთვის მთავარი იყო, არ წამეგო ეს გადამწყვეტი პარტია, მით უფრო, რომ შავებით ბორისთან წაგებული მქონდა ერთხელ, გადავწყვიტე, მივსულიყავი მსოფლიო ჩემპიონთან და რჩევა მეთხოვა. წავედი და თან წავიყვანე გიაც. ისინი პირველად მაშინ გავაცანი ერთმანეთს. გარის ბევრი დრო არ ჰქონდა, მაგრამ ერთი საინტერესო იდეა შემომთავაზა. მე იქიდან გახარებული წამოვედი. დარწმუნებული ვიყავი ჩემპიონის მიერ მოწოდებული იდეის სიძლიერეში და ვფიქრობდი კიდეც მის გამოყენებას. ეჭვიც არ მეპარებოდა იმაში, რომ სიახლეს გელფანდი საგონებელში უნდა ჩაეგდო. მაგრამ დილით გავიღვიძე თუ არა, გია დამიკავშირდა და მითხრა, რომ გარის სიახლეს წუხელ მთელი ღამე ვარჩევდი და საინტერესო საწინააღმდეგო რეპლიკა ვნახეო. მაშინათვე დავსხედით დაფასთან. დავიწყეთ გარჩევა. რეპლიკა საინტერესო იყო. შესაძლოა, წამეგო კიდეც, თუ გელფანდი მას მიაგნებდა. გარისკვა სახიფათო იყო. დავურეკე გარის, ვუთხარი ყველაფერი. მან ჯერ არაფრად ჩაიგდო გიას რეპლიკა, მერე მთხოვა ერთ საათში დავკავშირებოდი. მაშინ გარი რუსეთის დემოკრატიული პარტიისათვის რაღაც მნიშვნელოვან საქმეებს აგვარებდა და ჩემთვის, სამართლე ითქვას, ნაკლებად სცხელოდა. დათქმულ დროს ისევ დავუკავშირდი. გაირკვა, რომ გარისაც ვერაფერი ეპოვა. სხვათა შორის, არც შემდეგში აღმოჩნდა კარგი თავდასაცავი ვარიანტი, უკეთეს შემთხვევაში შავები მხოლოდ უარეს ენდშპილს იღებდნენ. ეს იყო და ეს. მსოფლიო ჩემპიონი იძულებული გახდა უარი ეთქვა მის მიერ რეკომენდებულ სიახლეზე.

— ზურაბ, კასპაროვმა, ალბათ, იცოდა თუ ვინ „დაბრაკა" მისი სიახლე?

— რა თქმა უნდა. მე ეს წინდაწინ ვუთხარი, რადგან, სამართლე გითხრათ, ვცდილობდი გიასთვის ერთგვარი რეკლამაც გამეკეთებინა. ეტყობა ამ შემთხვევამ გადამწყვეტი გავლენა იქონია გიას ბედზე. მერე ქალბატონმა კლარამ თვითონ დამირეკა და მკითხა, გიას როგორი ნერვული სისტემა აქვსო. მე, რა თქმა უნდა, დადებითად ვუპასუხე და კასპაროვებიც მალე დათანხმდნენ. შემდეგ გია მათ ჩემთან ერთად მიიწვიეს შეკრებაზე, სადაც გადაწყდა კიდეც გიას ჩართვა გუნდში.

— საინტერესო ისტორიაა, ბარემ ისიც ვთქვათ, როგორი შეფასება მიეცა გია გიორგაძის „დებიუტს?".

— საკმაოდ ნორმალური. მართალია, გარის არ დაუკონკრეტებია ამა თუ იმ მწვრთნელის ღვაწლი, მაგრამ მან საერთო ჯამში ძალიან კარგი შეფასება მისცა მწვრთნელთა მუშაობას.

ჩემპიონის მწვრთნელების ბრიგადის შესახებ დიდოსტატმა რაფაელ ვაჰანიანმა პირდაპირ თქვა — მწვრთნელებმა საჭირო ქულების მაქსიმუმი აიღესო.

— გასაგებია და ხანამ მატჩის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, იქნებ იცოდე, რატომ არ იყო კარპოვის მწვრთნელთა ბანაკში ელიზბარ უბილავა?

— მე ვფიქრობ, რომ ეს კარპოვის პიროვნული ხასიათის გამო მოხდა. პრეტენდენტი, პირდაპირ რომ ვთქვა, არის საკმაოდ ხელმოჭერილი. უფრო მძაფრადაც შეიძლებოდა ამის გამოხატვა.

— მაინც როგორ, ძუნწი?

— ეს სიტყვა ზედგამოჭრილია კარპოვისათვის. წინა მატჩის შემდეგ, მან, რბილად რომ ვთქვა, მწვრთნელებს არ გადაუხადა საჭირო დაპირებული თანხა. კარპოვის სიძუნწეზე კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ. 1983 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის 50-ე საიუბილეო ჩემპიონატი, რომელშიც კარპოვის გარდა, თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონატის გახსნაზე კარპოვის წინადადებით, პირველი პრიზი განისაზღვრა მხოლოდ 400 მანეთით. ეს მართლაც კურიოზი იყო. თავად კარპოვს ფული არ ალდა და სხვისი გასაჭირი რაში ენაღვლებოდა. იმ ტურნირში მე 7 ქულა დავაგროვე და მახსოვს ჰონორარი მომცეს რაღაც 56 თუ 57 მანეთი.

— მართალია, რომ კარპოვმა წინა მატჩში ოდესელ დიდოსტატ კონსტანტინე ლერნერს საერთოდ არაფერი არ მისცა?

— სწორია. ჩათვალა, რომ ლერნერს ჰონორარი არ ეკუთვნოდა. რაც შეეხება ელიზბარს, მან უარი თვითონ უთხრა შეკრებაზე წამოსვლაზე. მერე, ეტყობა, ელიზბარმა უკეთესი არჩევანი გააკეთა. წავიდა კონტრაქტით ესპანეთში და ახლა იქ ავარჯიშებს ესპანეთის ნაკრებს.

— კეთილი, მაშინ ახლა უშუალოდ მატჩზე გადავიდეთ. მასზე ძალიან ბევრი რამ დაიწერა, ითქვა. ჩვენ ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ამომწურავად არ თქმულა — ორთაბრძოლის უდიდეს დაძაბულობაზე, კორეჭტულობაზე, დროშის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვა.

— მატჩში კონფლიქტური სიტუაცია დაწყებისთანავე შეიქმნა. კარპოვის დელეგაციის ხელმძღვანელმა, დიდოსტატმა ნიკოლაი კროგიუსმა ოფიციალურად შესთავაზა კასპაროვს, რომ ერთმანეთისთვის ხელი არ ჩამოერთმიათ. პრეტენდენტს სურდა, რომ მათ ხელი მხოლოდ მატჩის პირველ, მეთორმეტე, მეცამეტე და ოცდამეოთხე პარტიებში ჩამოერთმიათ, დანარჩენებში კი არა.

— კი მაგრამ, რაგომ? კარპოვს რაღაც ამგვარი შანტაჟის გამოცდილება ხომ არ ჰქონდა?

— დიახ, ჰქონდა. ცნობილია, რომ მან 1978 წელს კორჩნოის თვითონვე შეუწყვიტა ხელის ჩამორთმევა. ეს წესი კი მატჩის და საერთოდაც, საჭადრაკო პარტიის აუცილებელი ელემენტია. მისი უგულებელყოფა ერაფრით არ შეიძლებოდა.

— მაშინ რისთვის დახჭირდა კარპოვს ეს?

— ალბათ, იმისათვის, რომ გარკვეულწილად დაეცა ჩემპიონის პრესტიჟი. გარისაგან პასუხის ორივე შემთხვევაში კარპოვი მაინც აღწევდა მიზანს.

ესაუბრა
ბიგლა გობეჩია.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში... ეს ხომ ჩვენი სპორტის და, კერძოდ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. ფეხბურთი, კარგად მოგეხსენებათ, ჩვენში სპორტზე ოდნავ (თუ ძალიან არა) მეტიცაა და ამიტომაც იყო, რომ ეს გადადგმული ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ, ცენტრის დიქტატისაგან განთავისუფლებისაკენ ყველასგან მზარდაჭერას მოითხოვდა. დიახ, ყველასაგან — ფეხბურთელებისაგან, მწვრთნელებისაგან, სპეციალისტებისაგან, და, რაღა თქმა უნდა, ჩვენგანაც — ჟურნალისტებისაგანაც. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის არც თუ მრავალრიცხოვან სპორტულ ჟურნალისტთა კორპუსიც ერთგულად შეუდგა თავის უპირველეს მოვალეობას — პირველი ეროვნული ჩემპიონატის ობიექტურად გაშუქებას. დიახ, ობიექტურად — ე.ი. მის ყველა დადებითი თუ უარყოფითი მხარეების წარმოჩენას. რა თქმა უნდა, ბევრისათვის, ალბათ, უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ყველაფერი ლამაზ ფერებში დაგვენახა და ეპითეტებით შეგვმკო ესა თუ ის გუნდი თუ ცალკეული ფეხბურთელი, და ცხადია, განსაკუთრებით მადლიერება გამოგვეხატა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. ჩვენ ამისათვისაც მზად ვართ, მაგრამ პირველ რიგში ნაკლზე მითითება, ახალ საქმესთან, შესაძლოა, ბუნებრივად არსებული ხარვეზების თუ ნეგატიური მოვლენების წარმოჩენაა ჩვენი ვალი. ასეთი კი მრავლად იყო განვლილ სეზონში, რომლებზეც თვალის დახუჭვა არ ეგების. მაგრამ, ყოველივე ეს, როგორც ჩანს, არ სიამოვნებდა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთ წარმომადგენელს, კერძოდ კი მის გენერალურ მდივანს ბატონ დავით კვინიკაძეს. ეს უკმაყოფილება კარგად გამოჩნდა 18 იანვრის „ქართულ ფეხბურთში" გამოქვეყნებულ მის ინტერვიუში. აი, მისი სიტყვებიც: „...ჩვენს ოპონენტთა რიცხვში მეცრე რაოდენობით, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც დარჩნენ ისეთებიც, ვინც ჩემპიონატის მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავდნენ. კი ბატონო, ვეთანხმები მათ, რომ მაყურებელი ძალიან ცუდად იქცეოდა, ხანდახან ფეხბურთელებიც სცოდავდნენ, არც მსაჯობა იყო მთლად სახარბიელო...

მართალია, სეზონის დასაწყისში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ ზოგიერთი მართლაც ვაიგულშემატკივრის თავაშვებული საქციელის აღკვეთას, ბოლოს კი ისე გაუჭირდათ რომ ხელიც კი ჩაიქნიეს, მაგრამ ის დიდი აჟიოტაჟი საოცარი კუთხური პატრიოტიზმის ნაყოფი რომაა, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში ლამობდა მაყურებელი თამაშის მსვლელობაში აქტიურ ჩარევას, მთლად ტრაგედია არ უნდა გავხადოთ...

დიახ, პატივცემულო მკითხველო, არ უყვარს ბატონ დავითს, როცა სიმართლეს წერენ და, ალბათ, სწორედ ვიწრო უწყებრივმა ინტერესებიდან და ფეხბურთის ჩინოვნიკის პოზიციებიდან გამომდინარე იმ ვრცელ ინტერვიუში პირდაპირი ადრესატიც მოიძებნა — „ახალგაზრდა ივერიელი"...

თუმცა, სჯობს ისევ ბატონ დავითს მოვუსმინოთ:

„... მე ვფიქრობ, ინფორმაციის ზოგიერთ სხვა საშუალებათა მსგავსად არ გამოგვიდეთ, რომლებიც ჩვენი ჩემპიონატის მხოლოდ უარყოფით მომენტებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და აქაოდა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება გვაქვსო (არადა ამგვარი თავისუფლება სწორედ სიმართლის დაცვას მოითხოვს), რასაც მოისურვებდნენ, იმას წერდნენ. „ახალგაზრდა ივერიელმა" ესაო და ჩვენი კორესპონდენტი სადისციპლინო კომისიის სხდომას არ დაასწარითო და საერთოდ აიღო ხელი ეროვნულ ფეხბურთზე. ხოლო თასის იმ მშვენიერ ფინალურ მატჩს რიგიანადაც არ გამოხმაურებია, შეიძლება მავანს ეგონოს, იმიტომ არ დაიწერა ფინალურ მატჩზე ამ გაზეთში, რომ ფეხბურთზე საერთოდ ძალზე დაბალი კვალიფიკაციით წერენ და არა მარტო „ახალგაზრდა ივერიელში", მაგრამ ამის განსჯას ამჯერად არ ვაპირებ. ეს ისევე იმ მავანისათვის მიმინდვია, მე უბრალოდ, გული ამ ფაქტმა მატკინა..."

როდესაც ამ არცთუ ობიექტურ და არცთუ დალაგებულ „აღმოჩენას" გავეცანით, პირველ რიგში, ცხადია, ბატონი დავითის განაწყენების მიზეზი მოვიძიეთ და სწორედ იმ პუბლიკაციაში მივაგენით, ძირითადად რომლის გამოც გვსაყვედურობს. საქმე იმაშია, რომ მაშინ ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთი ადრესატი სწორედ დ. კვინიკაძე გახლდათ. ამასთან, ისიც აღმოჩნდა, რომ მანამდეც და არც შემდგომ მისდამი საქებარიც არაფერი დაგვცდენია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა საფუძველი აქვს საყვედურს, რომ მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავდნენო. ჩვენი გაზეთის ნომრებზე უბრალოდ თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დარწმუნდეთ, საქებარიც საკმაოდ გვითქვამს. ამის დასტურად რამდენიმე პუბლიკაციის სათაურიც გამოდგება — „ქუთაისი" წინ მიიწევს", „გორდა" აღარ ხუმრობს"..., „იბერიამ" დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს", „კახეთში უყვართ ფეხბურთი", „მომავლის გუნდი", „ყოჩაღ, მსაჯებო", „დიდი ფეხბურთი", „პირველი ჩემპიონი" და სხვა. რაც შეეხება ოპონენტის თითქოსდა სამართლიან კრიტიკას სადისციპლინო კომისიის შემდეგ (რომელზეც „ოლიმპიადა-1913"-ისა და „იბერიას" შეხვედრის შორის მომხდარი მეტად არასასიამოვნო ფაქტი იხილებოდა) „ახალგაზრდა ივერიელმა" საერთოდ აიღოო ხელი ეროვნულ ფეხბურთზე, უნდა განვაცხადოთ:

პირველ ეროვნულ ჩემპიონატს ჩვენმა გაზეთმა, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურია და არა სპორტული, 40-მდე პუბლიკაცია მიუძღვნა. უშუალოდ იმ სადისციპლინო კომისიის სხდომის შემდეგ კი სეზონის ბოლომდე ჩვენს გაზეთში კიდევ 6 პუბლიკაცია გამოქვეყნდა ეროვნული ჩემპიონატის შესახებ. ასე რომ, არ აგვიღია და არც ამის შემდეგ ავიღებთ ხელს ეროვნულ ფეხბურთზე...

უნდა გავახსენოთ ბატონ დავითს, რომ შარშანდელ წელს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელთა ასახვა ჩვენი ვალი იყო. და ისიც ხდებოდა, რომ სპორტისათვის (და არა მარტო ფეხბურთისათვის) უბრალოდ, უქაღალდობით გამჭვლეფებულ ჩვენს 4-გვერდიან ნომრებში ადგილიც არ გვქონდა. სურათის მეტი სიცხადისათვის ჩვენს ოპონენტს იმასაც გავახსენებთ, რომ გასულ წელს უქაღალდობითა და სხვადასხვა დელიკატური პოლიტიკური სიტუაციების გამო ბევრი ნომერი საერთოდ არც გამოსულა. ისეც ყოფილა, რომ დასაბეჭდად გამზადებული წერილების გამოქვეყნებაც არ ხერხდებოდა ხშირად.

ყველაფერი ეს არ იცის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა? თუ საკუთარი შეცდომებისა თუ უძლურობის ძირებს, მუნდირის დაცვის სურვილით გაფაციცებული ოპონენტი, ჟურნალისტთა ტენდენციურობაში ეძებს? არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს არაა სწორი გზა. ჩვენი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის სრულყოფა პრობლემების რეალისტურ ხედვაში, მისდამი საღ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. ჩვენი გაზეთიც მომავალში კვლავაც ამ პრინციპებს დაიცავს, რაც არ უნდა გაგვინაწყენდნენ ფეხბურთის დიდი ფუნქციონერები.

ბია ტუხაშვილი
„ახალგაზრდა ივერიელის" სპორტის მომმხილველი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ **ანდრო ოთარის ძე ლლონტი** დანიშნა ხაქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ღორძინება ერგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მისაბაძი თაოსნობა

... უპირს ქართულ მილიციას, მაგრამ ერთგულად ემსახურებიან ეროვნულ საქმეს. ასეთი დაძაბული ზედაპოლიტიკური სიტუაციის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მაინც ნახულობენ დროს, რომ სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებებიც მოაწყონ. სწორედ ასეთი ღონისძიების ინიციატორი იყო თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზმომზადებისა და სპორტის ჯგუფი (უფროსი — თეიმურაზ ლაკია), რომელთა თაოსნობითაც ამასწინათ ჩატარდა „მხიარული შეჯიბრება წყალზე“. ამ ლამაზი და საინტერესო შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ აგრეთვე კრწანისის რაიონის საცურაო კომპლექსი (დირექტორი — თეიმურაზ მეშველიანი) და საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქცია. მხიარულ შეჯიბრებაში კი ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ კრწანისის რაიონის საცურაო კომპლექსის გუნდი „ზვიგენი“ და ისნის რაიონის 90-ე საშუალო სკოლის გუნდი „დელფინი“. ჩვენ აქ არც გამარჯვებულის ვიხაობას დავსახელებთ და არც დამარცხებულის — მთავარი და აღსანიშნავი ის იყო, რომ თანატოლებთან ერთად იმ მხიარულ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისის № 1 უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებიც, რომლებიც თანაბრად იყვნენ გაწაწილებულნი ორივე გუნდში.

... შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მონაწილეები კმაყოფილები სტოვებდნენ საცურაო კომპლექსს — ორგანიზატორებმა (მათ კი ასევე მხარში ამოუდგა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო) თითოეულ მათგანს საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს, ხოლო თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზმომზადებისა და სპორტის ჯგუფის ხელმძღვანელობამ კი ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სპორტული ფორმები დაურიგა...

თავისი ელფერი შემატა ამ ლამაზ სანახაობას საქართველოს ნაკრებმა გუნდმა სინქრონულ ცურვაში, რომელიც მეტად ორიგინალური პროგრამით წარსდგა მაყურებელთა წინაშე.

თენგიზ მიქელაძე.

ოლეგ გველესიანის ფოტოები.

თბილისი — სტამბული — თბილისი

სატრანსპორტო ფირმა „გლობუსი“ აწარმოებს მგზავრთა გადაყვანას კომფორტული „იკარუსის“ მარკის ავტობუსებით მარშრუტით:

თბილისი — სტამბული — თბილისი.

სტამბულში ყოფნის ხანგრძლივობა არის 3 დღე-ღამე. დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ, მიმართოთ მისამართზე:

კანკავას ქ. 3. (საბჭოს ქ. 12)

ელსმენი: 96-94-49

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ

1990 წლის ოქტომბერში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალი“.

გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე სამართლებრივი და იურიდიული ინფორმაციის რესპუბლიკური მონაცემთა ბანკის შექმნა და ექსპლოატაცია.

ზემოაღნიშნულთან ერთად ჩვენ მზად ვართ დავდოთ ხელშეკრულებები ნებისმიერი პროგრამული და პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსების შექმნასა და სხვა საქმიან წინადადებებზე.

ღღეისათვის დასვ „საქინფორმსამართალი“ გთავაზობთ:

—გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებს PC/XT/AT/AT-386 და PS/2/25/30/50/60/70/80;

—APPOLO — მუშა სადგურებს;

—აშშ-ის წარმოების მინი— და სუპერ— ეგმ-ებს;

—სარედაქციო-საგამომცემლო სისტემებს;

—დაპროექტების ავტომატიზაციის პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს;

—EHCKNET, ARCNET, P-LINK ლოკალურ გამოთვლით ქსელებს;

—ორგტექნიკას;

ტექნიკის მიწოდება, უმეტეს შემთხვევებში, წარმოებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ჩვენი მისამართია: 380010, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 32.

ჩვენი ტელეფონებია: 98-20-68, 98-20-69, 36-66-47.

კავშირი გაერთიანება „საქინფორმსამართალთან“ თქვენი წარმატების გარანტიაა!

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

„ფალავანი“ ზრდის ფალავნებს...

ამ რამდენიმე ხნის წინათ ყვარლის სპორტკომიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა საჰიდაო კლუბი „ფალავანი“, რომლის პრეზიდენტად არჩეული იქნა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე ბილახიშვილი, ხოლო საპატიო პრეზიდენტად ყვარლის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ნატროშვილი.

ყვარელს ადრეც დიდი საჰიდაო ტრადიციები გააჩნდა და ამ ახალი კლუბის ჩამოყალიბებაც, ალბათ, დიდ სტიმულს მისცემს დამწყებ მოჰიდაველებს. ეს უკანასკნელნი კი რაიონში მრავლად არიან და გამოცდილი პედაგოგების დახმარებით იმაღლებენ თავიანთ ოსტატობას. რაიონულ ცენტრში ამჟამად გახსნილია ქართული და თავისუფალი ჰიდაობის ჯგუფები, აგრეთვე მათთან ერთად არიან ძიუდოისტებიც. იგივე შეიძლება ითქვას მთელ რაიონზეც, სადაც მთელ რიგ სოფლებში — საბუეში, შილდაში, გავაზში, ახალსოფელში და ჭიკანში არაერთი პერსპექტიული მოჰიდაველები იზრდებიან. ტონის მიმცემნი კი ყვარელში ნამდვილად არიან — აქაურ ფალავნებს გია ივანიშვილსა და შამილ მაგომედოვს არაერთხელ უსახელებიათ თავი საქართველოსა თუ მსოფლიოს სარბიელზე.

კლუბ „ფალავანს“ სპონსორობას უწევს ყვარლის სამრეწველო კომერციული ფირმა „ვაზის ცრემლები“ (დირექტორი თამაზ კინჭოშვილი), რომელიც ყველა ღონეს ხმარობს კლუბის ასაღორძინებლად და ბევრი სასიკეთო საქმე აქვს ჩაფიქრებული. ერთ-ერთი უმთავრესი და უახლოესი მიზანი კი „ფალავანისთვის“ საკუთარი შენობის აგებაა. დიახ, სამწუხაროდ, „ფალავანს“ ჯერჯერობით საკუთარი ჰერი არ გააჩნია და დროებით ადგილობრივი სპორტსკოლის შენობაშია შეხიზნული, მაგრამ ყოველივე ეს დროებითი პრობლემაა და ყვარლელი მოჰიდაველები და მათი აღმზრდელებიც მომავალ წარმატებებისათვის ფიქრობენ.

ლია გიგიტაშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „იურისტი“ ამზადებს აბიტურიენტებს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. № 12, ტელ. 37-13-06.

მცირე საწარმო „ORLIO“ გთავაზობთ ნებისმიერ IBM PS XT-თან თავსებადი უცხოური წარმოების ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილებს პროგრამული უზრუნველყოფით. მიწოდება მოხდება ერთი დღის განმავლობაში. შესყიდვა როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე. პროდუქციის ღირებულება საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

საწარმო სამუშაოდ იწვევს კვალიფიციურ ელექტროშემდუღებლებს.

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის 1.

ტ: 37-58-25, 37-06-64

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

ყურადღება!

25 იანვარს, პარასკევს, სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში აწყობს მუსიკის, სიმღერისა და პოეზიის საღამოს. მონაწილეობენ პოეტები — ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ჯასონ ჩარკვიანი, თინათინ მღვდლიაშვილი; მსახიობები — ლილი ლობიშვილი, ელდინო სალარაძე, ზაზა მიღალაშვილი; დავით აღმაშენებლის საზოგადოების ქალთა ინსტრუმენტალურ-კამერული ანსამბლი (ხელმძღვანელი იგორ ტურაევი), დავით აღმაშენებლის საზოგადოების ვაჟთა სიმღერის გუნდი „შარავანდი“ (ხელმძღვანელი მიხეილ მცურავიშვილი).

დასაწყისი 19 სთ. 30 წ.

კეთილინტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კგირაში ერთი დღე თავის უკიდურესად გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად იკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 11 საათისათვის.

ყველაზე გაჭირვებული ჩვენი თანამოქალაქეებისათვის სამყოფ პროდუქტებს თავიანთი პირადი დანაზოგიდან ამ დღეს შეიძენენ ნაძალადევის რაიონის სახალხო განათლების ქსელის დაწესებულებები.

სათნოების ორდენი
(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)

ფიზიკის მასწავლებლებს

1991 წლის 9-10 თებერვალს 11 სთ-ზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კოოპერატივი „ლეპტონი“ აწყობს მეთოდურ სემინარს ფიზიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკაში. სემინარის მსმენელებს გადაეცემათ რიმკევიჩის ამოცანათა კრებულის ამოცანების ამოხსნები.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესაძენად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

Общественно - политическая молодежная газета «Ахали Сакартвело - Новая Грузия»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-50; წერილების განყოფილება — 98-80-89.

გაზეთი ბეჭდავს კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის 14, ოფსეტური წესით ნაგზეთო კორპუსში, ბოლშევიკოსების 29.

ტ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქტორი ბესარიონ ბალასანიშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380096. ვ. კოსტავას ქ. № 14.